წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | სამშაბათი 9 თებერვალი 1916 წ. | № 30

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ[illegible] გვერდზე პეტიტის [illegible] კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.
**ფასი უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.
გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანცორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

პირველი წელი | პირველი წელი
**„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამ თვეში ერთხელ გამოვა**
## კაზმული და სამხატვრო კრებული
## „მერანი“
**კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი.** ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.
**გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.**

## საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**
## საკუთარი ტყიდან
**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**
(103—წ.)

ისადილეთ გემრიელად!
## ძველ სემინარიის შენობაში სასტუმრო
## „ოსტერია“
**უმასპინძლდება გემრიელ სადილებით და ვახშმებით**
სამზარეულო ყოველ ჟამს ამზადებს **ევროპიულ და კავკასიურ**
## სადილ ვახშმებს
**მწვადები ყოველგვარი. საცივი, ხარშო იმერული**
საუცხოვოდ და სუფთად მორთული **კაბინეტები**
## ბილიარდები, ნარდი
პატივისცემით { ი. ხ. აბაშიძე / ვ. ა. თოფურიძე
(წ.—)
ივახშმეთ გემრიელად!

## „ახალი კლუბი“
ერთი კვირის პროგრამა 8—14 თებერვლამდე 1916 წ.
**სამშაბათი**—დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი, სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებ. ორკესტრი.
**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა—სპექტაკლის შემდეგ დაუკრავს სამხედრო ორკესტრი. სპექტ. შესვლა უფასოა.
**პარასკევი**—სინემატოგრაფი, სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებ. ორკესტრი.
**შაბათი**—ოპერეტკა—ქართულ ენაზე, ოპერეტკაზე შესვლა უფასოა.
**კვირა**—კონცერტი მომღერალთა გუნდის მიერ, მიხეილ კავსაძის ლოტბარობით, დაწვრილებით პროგრამაში.
**დასაწყისი:** კონცერტებისა საღ. 9 საათ., სპექტაკლისა, ოპერეტკების და სინემატოგრაფისა საღ. 8 საათზე.
კლუბში შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, საოჯახო საღამოს შესასვლელი ფასი მამაკაცისა 1—05 კ., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 55 კ.
(6—51—2)

## კვირას, 14 თებერვალს
**სახაზინო თეატრში**
— იმართება —
## შიო მღვიმელის
## სადღესასწაულო დილა
(—უ.—)

## საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა
**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**
(102—წ.)

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის** კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
**პროვიზორის ახვლედიანისა**

**ექიმი-დოსტაქარი**
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი**
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**კბილის ექიმმა**
## მამულაიშვილმა
**(ხოდნევისამ)**
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

**კბილის ექიმი**
## ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

7—8 თებერვალი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რუსთა მძიმე არტილერიამ ჩამოაგდო მტრის ჰაეროსტატი, რომელიც ეზერტთან აუშვეს, ტარნოპოლის ჩრდილო-დასავლეთით. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა.

**კავკასიის ასპარეზი.** დევნის დროს რუსები შემოერტყნენ და ტყვედ წამოიყვანეს აზრუმიდან გასულ მე-34 ოსმალთა დივიზიის ნაშთი, 13 ზარბაზნით, ტყვიისმფრქვეველებით და საარტილერიო ყუმბარებით; აზრუმის შარაგზაზე ასევე დატყვევებულ იქმნა ერთ-ერთი პოლკის ნაშთი. რუსთა ერთმა სახელოვანმა კორპუსთაგანმა შტურმის დროს დავლად ჩაიგდო 240 ზარბაზანი. რუსთა ჯარების მიერვე ბრძოლით აღებულ იქმნა ქ. მუში და ახლათი. მტერი სამხრეთისკენ გარბის.

**პეტროგრადი.** დასავლეთი ასპარეზი. რიგის რაიონში ბევრს ადგილას გამოჩნდა გერმანელთა ჰაეროპლანები. რიგაში ყუმბარები ჩამოჰყარეს. კირხ-გოლმ-იქსკიულში გერმანელებმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გააჩაღეს. იქსკიულის რაიონში ოგერის დასავლეთით და პროტინსპოფის დასავლეთით რუსთა არტილერია მარჯვედ მოქმედებდა. კრეიცერბურგის ჩრდილოეთით გერმანელთა ჰაეროპლანმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო. დვინსკის ჩრდილოეთით მიშტელეს თავზე ორმა „ცეპელინმა“ იფრინა. დვინსკთან გერმანელების არტილერია მკვირცხლად მოქმედებს. სვენციანის ტბის რაიონში რუსთა არტილერიამ დაანგრია გერმანელთა ორი თხრილი. დნესტრზე მიხალჩასთან რუსებმა ააფეთქეს ნაღმი, რამაც ერთიანად დაანგრია გერმანელთა მავთულის ხლართი. მტერი შეეცადა მძიმე არტილერიით უკუეგდო რუსთა რაზმები, მაგრამ ვერ მოხდა, რუსებმა დაჭერილი ადგილები შეინარჩუნეს.

**კავკასიის ასპარეზი.** ოსმალთა დევნის დროს რუსებმა კიდევ დაატყვევეს 46 ოფიცერი და 250 ჯარისკაცი, დავლად დარჩათ 6 ზარბაზანი, მრავალი იარაღი, საბარგულები, სურსათი და სხვა. ამის გარდა აზრუმის რაიონში რუსებმა ხელთ იგდეს ოსმალთა დროშა.

—

**სევასტოპოლი,** 6 თებერვალი. რუსის გემებმა ხელახლა ზარბაზნები დაუშინეს მტრის სანაპირო სიმაგრეებს და რაზმებს, რომელთაც სწრაფად მიატოვეს პოზიციები. გემები დიდ დახმარებას უწევენ ხმელეთით მომქმედ რუსის ჯარებს.

**პარიზი,** 5 თებერვალი. არტუაში, „140“ ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ ავაფეთქეთ ნაღმი, რომელმაც საკმაოდ დააზიანა გერმანელთა თხრილები. შემდეგ მეორეგან ავაფეთქეთ. აფეთქებულის სამხრეთი ნაწილი დავიჭირეთ. გერმანელები ბევრს ეცადნენ დაებრუნებინათ იგი, მაგრამ ვერა გააწყეს-რა. ფრიზის რაიონში ჩვენ და ინგლისელები მარჯვედ ვმოქმედებდით რათა ხელი შეგვეშალა გერმანელებისთვის იერიშისთვის მზადების დროს. ზემო ელზასში გერმანელებმა ინტენსიური საარტილერიო სროლის შემდეგ იერიშით აიღეს ლარგიტცენის ჩრდილო პოზიციები, მაგრამ მალე დავიბრუნეთ უკან.

**ჰავრი,** 5 თებერვალი. მთელს ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა.

**ლონდონი,** 5 თებერვალი. საფრანგეთში მოქმედი ინგლისელთა ჯარების შესახებ ცნობა: მტერმა ორი ნაღმი ააფეთქა, მაგრამ აფეთქებული ადგილები ვერ ჩაიგდეს ხელში. დღეს ჩვენმა არტილერიამ ზარბაზანი დაუშინა მათს სიმაგრეებს არმანტიერის აღმოსავლეთით.

**სოლუნი.** 6 თებერვალი. იუწყებიან, მონასტირში ბულგარელებმა და გერმანელებმა ჯარებს მოუყარეს თავი.

**ათინა,** 6 თებერ. არზრუმის დაცემამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გაზეთების სიტყვით იგი დიდს გავლენას იქონიებს ცენტრალ სახელმწიფოებზე და ხელს აიღებინებს ეგვიპტეზე გალაშქრებაზეო. გზა სტამბოლისკენ გახსნილია, საბერძნეთს ჰმართებს კავკასიის ამბებს დაწვრილებით ადევნოს თვალყურიო.

**ლონდონი,** 7 თებერვ. საფრანგეთში მომქმედ ინგლისის ჯარების სადგომიდან იტყობინებიან: გუშინ დილით გერმანელებმა გამოითარეშეს ჰომკურის თხრილების გარშემო და რამდენიმე ტყვედ წაიყვანეს. მოკლულ-დაჭრილია სულ შვიდი კაცი. გოოხეს გარშემო საღამოთი საარტილერიო სროლა გაჩაღდა. დღეს დილით ჩვენ ზარბაზნები დაუშინეთ მტრის სანგრებს ლოჩეკის მახლობლად.

**პარიზი,** 6 თებერვ. ხმებია, ვერდენისკენ გერმანელებმა 5 დივიზიას თავი მოუყარესო. ამის შესახებ „ტანი“ სწერს: ამბობენ, ამ პუნქტში ძლიერი არტილერია მოზიდეს და 5 დივიზიაც მოაყენესო. რომ ვერდენი გამოყოფილი ყოფილიყო, შეგვეძლო შევწუხებულიყავით, მაგრამ იგი დაკავშირებულია სხვა სიმაგრეებთან ერთად. ამას გარდა, იგი დაცულია მაღალი მთებით. მართალია, ვერდენს ფორტები არა აქვს და ამ მხრივ სუსტია იგი, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ მართლა გერმანელებმა აქ აღნიშნეს თვისი ოპერაციის ადგილი, უნდა დარწმუნებული იყვნენ, რომ ძლიერ პაჩუხსაც მიიღებენ.

**ბუქარესტი,** 6 თებ. ბულგარეთიდან იუწყებიან: ჩვენ დიდი ამბების მოლოდინში ვართ. დადგება დრო, როდესაც მინისტრ-პრეზიდენტი რადოსლავოვი გამოუცხადებს ხალხს, რომ დღევანდელი დაპყრობილი და მომავალიც დარჩება ბულგარეთს. რა ბედნიერი წარმატებითაც დაიწყო საქმე ბულგარეთის ჯარმა, ისევე ბრწყინვალედ დააგვირგვინებს მას“. ესეთი განცხადება მოწმობს, რომ ბულგართა პოლიტიკურ წრეებში განმტკიცებულა აზრი დიდი ბულგარეთის აღორძინების შესახებ.

**მალმე,** 7 თებერვ. გერმანელებმა დაატყვევეს ინგლისში მიმავალი შვეციის გემი.

**კინტსპორტი,** 6 თებ. დიდი ქარხანა, სადაც სამხედრო იარაღს ასხავდნენ, გადიწვა ერთიანად. ზარალი უკანასკნელი 1 მილიონი დოლარი მაინც იქნება.

**ლონდონი,** 6 თებერვ. „ლლოიდი“ იუწყება, გემი „კომრაიკესტი“ მომბასის მახლობლად ქვიშაში ჩაიფლო. მგზავრები ნაპირზე გადაიყვანეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**აზრუმის გარშემო.**

„რეჩ“-ი სწერს: აზრუმის აღებას იმდენად სტრატეგიული მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც ოსმალთა ხუთი კორპუსის განადგურების წინამორბედს. ოსმალების სწრაფად გამოგზავნილი ორი კორპუსი რომელიც ზღვით მოდის ტრაპიზონისაკენ, ვერას უშველის რადგანაც ამ ჯარს ზარბაზნები არ მოაქვს თან.

გაზეთის სიტყვით, ოსმალებმა სცადეს აზრუმიდან 15 ვერსის მოშორებით სიმაღლეებზე გამაგრება მაგრამ ვერ მოახერხეს.

**გერმანელთა სამხედრო გეგმა**

ბუქარესტში დაბეჯითებით ლაპარაკობენ გერმანეთი დიდს სამხედრო მზადებაშია ბესარაბიისკენ გასალაშქრებლადაო. გერმანელებს თურმე სურთ თავიანთი და ოსმალ-ბულგართა ჯარები რუმინეთით გაიყვანონ. ამ მიზნით მათ დიდძალ ჯარებისთვის მოუყრიათ თავი რუმინეთის საზღვრებზე. ერთსა და იმავე დროს მას სურს გალაშქრებამდე რუმინეთის პოზიცია გამოარკვიოს, უკიდურეს შემთხვევაში აიძულოს ხმლის აღებაო. რუმინეთის საბოლოოთ გარდაწყვეტილებაზეა დამოკიდებული გერმანელთა გეგმის განხორციელება.

**ინგლისური პრესა**

ინგლისური პრესა დიდს საგონებელში ჩავარდნილი იმის შესახებ, თუ გერმანეთი საით აპირებს გალაშქრებას „დასავლეთ ფრონტზე გალაშქრება, ამბობს ერთ-ერთ გაზეთის თანამშრომელი ბ-ნი მ. გ. ყოველთვის გერმანელთა არა სახეიროდ თავდებოდა, მაგრამ ვიცით, გერმანელნი დიდ სამხედრო შეცდომად სთვლიან პასიურ თავდაცვას. ამიტომ უნდა მოველოდეთ, რომ თვითვე მოიტანენ იერიშს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, ომის გარდაწყვეტას ამ მხრით სცდილობდნენ. არა, პეტროგრადი, უეჭველია, გერმანელთა მთავარი მიზანი იყო და ფრიად მომხიბვლელი, ვიდრე რომელიმე სალონიკი, მაგრამ პეტროგრადის აღება განა უმჯობეს მდგომა[illegible] ჩააგდებს მას? გერმანელთა კუჟსაც საზღვარი აქვს, რომ რუსეთის ტერიტორია ადვილად მოინელოს. როგორც სჩანს, მეტი შანსი გვაქვს ვიფიქროთ, გერმანეთი გაზაფხულისთვის რუმინეთის მიმართულებით გაილაშქრებს. ვამბობთ რუმინეთის მიმართულებით, რადგანაც გერმანეთი არას დროს არ დაეცემა რუმინეთს, რადგანაც ამისთვის ძალაც აღარ შესწევს. ასეა თუ ისე, საგაზაფხულო კამპანიის დაწყებას ისევ რუსეთის ასპარეზზე უნდა ველოდეთ“...

**ავსტრო-ჰუნგრელთა ჯარები**

„Dailu Telegr.“ იუწყება, ავსტრო-ჰუნგრელთა ჯარები ყველა ფრონტზე დღეს დღეობით უდრის 2.200.000 კაცს. კიდევ შეუძლიანთ გაიყვანონ 1,600,000 კაცი და ამით გათავდა მთელი მათი რესურსებიო.

**ბრიანი ომის შესახებ**

რომში ყოფნის დროს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ბრიანი ესაუბრა სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებს. „Gior.d. Italia“-ს წარმომადგენლისთვის უთქვამს: საჭიროა მოკავშირეებმა ერთსა და იმავე დროს ყოველმხრიდან შევუტიოთ გერმანეთს, რომ საბოლოოდ განადგურებულ იქმნეს იგიო. გამარჯვების მიღწევა თუ გვსურს, უნდა მოვერიდოთ ცალ-ცალკე ბრძოლას, შეთანხმებით და ერთად, —აი მთავარი გამარჯვების ფოკუსი რაში იმალებაო“. შემდეგ იგი შეეხო სალონიკს. „სალონიკში ჩვენი ჯარების თავმოყრა ეს ის მწვავე ეკალია, რომელმაც ერთიანად ჩაუშხამა გერმანელთ ტრიუმფით სტამბოლისაკენ გამგზავრებაო“. მარტში მისი სიტყვით მოხდება მოკავშირეთა კონფერენცია: „ერთი ფრონტი, ერთი არმიის, ერთი მსხვერპლისა და გამარჯვებისთვისაო“.

**ნეიტრალ ქვეყნების წარმომადგენელთა კონგრესი.**

რუმინეთის პოლიტიკურ წრეებში დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ მარტის რიცხვებში ქ. მადრიდში შესდგება ნეიტრალ სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონგრესი. მოწვევის ბარათები დაეგზავნებათ ნეიტრალ ქვეყნების ოფიციალ წარმომადგენელთა გარდა, პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებს და ცნობილ მოღვაწეებს. კონგრესისთვის ჩამოთვლილია 31 სახელმწიფო. მიზანი მისი გახლავთ ის, რომ ზომები იქმნეს მიღებული ნეიტრალ ქვეყნების საპოლიტიკო, საეკონომიო და საფინანსო ინტერესების განმტკიცება.

**კრეისერი „ადმირალი შარნე“.**

ფრანგთა ჯავშნიანი კრეისერი „ადმირალი შარნე“, რომელიც სირიის ნაპირებთან გერმანელთა წყალქვეშა ნავმა დაჰღუპა, ძველი ტიპის გემი იყო: აგებულია 1893 წ. მისი წყალთაწყვა უდრის 4,800 ტონას, სისწრაფე საათში 18 კვანძი. შეიარაღებული იყო 16 ზარბაზნით, (აქედან ორი ზარბაზანი 7 დიუმიანი იყო, ექვსი—5,5 დიუმიანი). ზედ ოთხს სანაღმო აპპარატს ატარებდა. კრეისერზე სულ 375 კაცი იყო.

**სერბეთის ტახტის კანდიდატი.**

დაბეჯითებით ირწმუნებიან, ვილჰელმმა მეფე ფერდინანდს წინადადება მისცა: შენს შვილს სერბეთისა და მთაშავეთის ტახტს დავუთმობ იმ პირობით, თუ ბულგართა ჯარები ჩვენთან ერთად ყველა ფრონტზე მიიღებენ მონაწილეობასაო.

———

ტახტის მეკვიდრე ალექსანდრე და მინისტრ-პრეზიდენტი პაშიჩი ამ დღეებში მიემგზავრებიან პარიზში, რათა მოკავშირეებთან ერთად შეადგინონ სერბიელთა ჯარების რეორგანიზაცია, რის შემდგომაც მათთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას სამხედრო ოპერაციებში.

**ოსმალეთის ფინანსები.**

ოსმალეთის ფინანსთა მინისტრმა ჯავიდ-ბეიმ განაცხადა, 1916 წლის ბიუჯეტს 14 მილიონი დეფიციტი აქვსო.

**პატრიოტული დემონსტრაციები რუმინეთში.**

ბუქარესტის სტუდენტობამ მიტინგი გამართა, სადაც აურაცხელი ხალხი დაესწრო. მიტინგის შემდეგ სტუდენტობა ქალაქის მთავარ ქუჩებს მოედო და პატრიოტულ ჰიმნებს მღეროდნენ.

**ბუკოვინაში.**

გერმანელები დიდძალ ჯარებს უყრიან თავს ბუკოვინაში.

**ოსმალთა ჯარის მოძრაობა.**

„Jour. des Bal.“ იტყობინება, ოსმალთა ჯარების დიდი მოძრაობაა, მცირე აზიიდან გადაჰყავთ ფრაკიაში. ოტომანთა რკინის გზები მხოლოდ მძიმე არტილერიის ზიდვაში არიან. ჩატალჯის სიმაგრეებიდან იარაღი გადაზიდეს ვარნაში და დედეაგაჩში.

**ბურჰომისტრი მაქსი.**

გერმანელებმა ბრიუსელში შესვლის ორიოდე კვირის შემდეგ დააპატიმრეს ქალაქის თავი მაქსი, რადგანაც მან სამხედრო კონტრიბუცია სავსებით არ გადუხადა და მეორეც, აშკარა აგიტაციას ეწეოდა გერმანელთა წინააღმდეგ. როგორც ჟურნალ-გაზეთები გადმოგვცემენ, მაქსი ეხლა გაუნთავისუფლებიათ და შვეიცარიაში გაუმგზავრებიათ.

**ენვერ ფაშას მადლობა.**

როცა ენვერ ფაშა საზღვაო თუ ხმელეთის ჯართა უფროსებს უხდის მადლობას, ყოველთვის თავის სახელით. ერთხელაც არ ახსენებს მთავრობას. ფაქტიურად იგი ნამდვილი დიქტატორია მთელი ოსმალეთისა.

## უკანასკნელი ფოსტა

ვოლფის სააგენტოს ცნობით, ელბასანი ბულგარელების ჯარმა დაიჭირა.

—

სალონიკიდან ცნობაა: მონასტირგევგელის მიდამოებს ბულგარელები დიდის სისწრაფით ამაგრებენ. აქ 200 ათასი მეომარი ჰყავთ.

—

სათათბიროს სხდომები დღეს დაიწყება. 12 თებერვლის სხდომაზე განიხილავენ სამხედრო ცენზურის საკითხს.

—

რუმინეთში მყოფი რუსეთის დესპანი რუმინეთის პრემიერ-მინისტრთან სადარბაზოდ იყო. ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობას აწერენ.

—

რუმინეთმა უკვე ხელი მოაწერა იმ ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც რუმინეთიდან გერმანეთში 100 ათასი ვაგონი ხორბალი უნდა გაიტანონ. გერმანეთი სამაგიეროდ ვალდებულია რუმინეთს შეკვეთილი მანქანები, ვაგონები და ორთქლმავალები გამოუგზავნოს.

## ბრძოლის ველზე

რიგა-დვინსკის რაიონში კვლავინდებური საარტილერიო ბრძოლაა. რიგაზე ჰაეროპლანები განაგრძობენ ფრენასა და ყუმბარების ჩამოყრას.

კირხჰოლმ-იქსკიულის არე-მარეში გერმანელების არტილერიამ თავისი მოქმედება გააძლიერა. ამგვარივე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს დვინსკის ჩრდილოეთით მიმტელემაზე ორმა ცეპელინმა გადიფრინა. საერთოდ ამ ჩრდილოეთის ფრონტზე სამხედრო ოპერაცია რაც დაიწყო, თანდათან ძლიერდება.

გალიციისა და ბუკოვინას შესახებ არავითარი ცნობა არ მოსულა.

უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში რუსის ჯარი განაგრძობს ოსმალების დევნას აზრუმის იქით. აქ რუსის ჯარს მოწინააღმდეგე ჯარის მცირე ნაწილებთან მოსდის შეტაკება... ნადავლი და ტყვეთა რიცხვი ამ უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში ისეთივე ზომიერია როგორც წინა ხანებში იყო, შედარებით იმ დიდ ფაქტთან, როგორიცაა აზრუმის აღება.

აზრუმის ამბები უეჭველია დიდ ცვლილებას გამოიწვევდენ მომავლისთვის განზრახულ სამხედრო ოპერაციის გეგმაში. ამიტომაც ჭკუასთან ახლოა ის ცნობა, რომ ოსმალებმა და გერმანელებმა ხელი აიღეს ეგვიპტეში გალაშქრებაზე და ოთხასი ათასი ჯარის კაცი რომელთა შორის ასი ათასი გერმანელია კავკასიაში იგზავნება აზრუმის დამარცხების გამოსასყიდად.

მეგრი.

## სოხუმის ქალაქის თვითმართველობაში

სოხუმის თვითმართველობის შემადგენლობაში ქართული უმრავლესობა და თვით ქალაქის მოურავად ქართველის ყოფნა, საცა სამართალია, საკმაო გარანტია და თავდები უნდა ყოფილიყო, რომ საქართველოს ინტერესი დაცული იქნებოდა თვითმართველობის მოქმედების ფარგალში, თორემ ბ.ბ. „მარკოვიჩებისა ტამარების“ მიმართ ჩვენ წინასწარი გაფრთხილებული ვართ. მათგან კეთილი გაგვიკვირდება და არა ცუდი. რაც ბუნებრივად საგულისხმო და თავისთავად მართალი უნდა ყოფილიყო, სწორედ იმაში მოვსტყუვდით. სოხუმის თვითმართველობის სახელით, ოფიციალმა დეპუტაციამ, რომელშიაც შედიოდა თვით ქალაქის მოურავი თ. ნ. თავდგირიძე, ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას ხიფათს განუმზადებდა. მას შემდეგ რაც დღე დაადგა საქართველოს ჩამოთესლილ ელემენტებისაგან, ქართული დაწესებულებისა და ქართველი კაცისაგან შუამდგომლობის აღძრა რომ ოსმალეთის ქვეშევრდომ სომხებს სოხუმის ოლქში კერძო საკუთრების შეძენის უფლება მისცემოდა, ნამდვილი ეროვნული დანაშაულია. ჩვენ ამ ბრალდებას ვიმეორებთ. იგი დაურღვეველი რჩება. ბ-ნი თავდგირიძე თავის პასუხში, ქრისტიანული მორალის მიხედვით, **მხოლოდ იცავდა** მისგან აღნიშნულ შუამდგომლობას.

იმას მნიშვნელობა არ აქვს, რომ აქ არ არის წინასწარ განზრახული ბოროტმოქმედებაც. ყველაზედ უმანკო მიზეზი დაუდევრობა თუ იქნება. მაგრამ დაუდევრობა, რომელსაც ქვეყნის ზიანი მოაქვს, დანაშაულია და უნდა დასჯილ იქმნას. კომისიის რეზოლიუციის უკანასკნელი მუხლიდან (IV) სჩანს, რომ საბჭოს წინასწარად არ განუხილავს ის შუამდგომლობანი, რომელიც დეპუტაციას უნდა აღეძრა მეფის ნაცვლის წინაშე. კომისია სწერს:

VI. დეპუტაციის დასაბუთებული შუამდგომლობანი საბჭოს არ განუხილავს, რადგან სიჩქარით მოხდა დეპუტაციის გამგზავრება.

აღნიშნავს რა კომისია ამ გარემოებას, წინადადებას აძლევს საბჭოს მომავლისათვის ყოველი შუამდგომლობა წინასწარ განხილულ იქნეს საბჭოში.

ერთი კვირით, საბჭომ არ იცოდა, რომ დეპუტაცია ამა და ამ შუამდგომლობის აღსაძრავად მიემგზავრება თბილისს, თუ იცოდა და მაინც არ განიხილა ისინი?! ხოლო ბატონი ნ. თავდგირიძე რა უფლების ძალით მოდიოდა, როგორც ოფიციალი პირი ისეთი შუამდგომლობის აღსაძრავად, რომელიც განხილულიც კი არ ყოფილა ქალაქის საბჭოსაგან და რომელიც ქალაქ სოხუმს კი არა მთელ სოხუმის ოლქს ეხებოდა?! ასეთი ყოვლად შეუწყნარებელი თვითნებობა და კანონის გადალახვა რად დასჭირდა ბ-ნ ქალაქის თავს? ამ ბრალდებას ვერც ის კომისია არღვევს, რომელიც საგანგებოდ ამ საქმისთვის აურჩევია სოხუმის ქალაქის საბჭოს და რომლის გამოძიების რეზოლიუციები დაბეჭდილია „სახ. ფურ.“ მე-496-ში. დეპუტაციის მოხსენებაში პირდაპირ ნათქვამია: „სომეხთა უფლებების შეზღუდვას ხელს უწყობს სენატის განმარტება, რომლითაც სომხებს არ აქვთ უფლება სასამართლოში დამცველი იყოლიონ, არ აქვთ უფლება საკუთრებად მიწის შეძენის და იჯარით აღებისა და სხვა“.*) აშკარაა ამ მოტივებისა და მოსაზრებათა მიზანი. კომისია უხერხული ლმობიერების ძალდატანებით ასე განაგრძობს:

IV. ოსმალეთის ქვეშევრდომ ქრისტიანების უფლებათა შესახებ წარდგენილ მოხსენებაში, **თუმცა გაკვრით არის ნახსენები, რომ გადასინჯულ იქნეს ამ პირების შესახებ ყოველგვარი შეზღუდვა მიწის მფლობელობისა და სარგებლობისა,** მაგრამ მოხსენების დასკვნა არ შუამდგომლობს, რათა ოსმალეთის ქვეშევრდომ ქრისტიანებს უფლება მიეცეთ მამულის საკუთრებად შეძენის, რადგან იქ გარკვევითაა ნათქვამი მხოლოდ საიჯარო უფლებისა და არა საკუთრების შესახებ.

სოხუმის ოლქი განაპირა მხარეა. მტერი და მოყვარე სცდილობს ჩვენსა და აფხაზებ შორის ხიდის ჩატეხვას. დიდი ტაქტი და სიფხიზლე გვმართებს რომ აღვადგინოთ და განვამტკიცოთ ძველი ისტორიული ერთობა და ნათესაობა.

ამის მაგიერ სოხუმის თვითმართველობა ქართველი მოურავის მეთაურობით ცდილობს საქართველოსაგან განუშორებელ აფხაზეთის მიწა-წყალს ახალი მესაკუთრეები გაუჩინოს. რანაირი განწყობილება და ურთიერთობა უნდა დაამყაროთ ჩვენსა და აფხაზებ შორის ასეთის მოქმედებით?! ესეც არ აკმარეთ. კილოც ისეთი ვერ დაგიჭერიათ თქვენს მოხსენებაში რომ თავი შეურაცყოფილად არ ეგრძნო ადგილობრივ მკვიდრებს, აფხაზებს. ამ უსიამოვნო და სახიფათო ატმოსფერის გასაფანტავად დასჭირდა კომისიას შემდეგი შენიშვნა, რომელიც ნაგვიანევ ბოდიშად უნდა ჩაითვალოს:

„ოსმალეთის ქვეშევრდომთა უფლების შესახებ აღძრულ თხოვნაში სხვა და სხვა ერის დაპირისპირების დროს არ ყოფილა დაცული სათანადო სიფრთხილე და ამან შექმნა ისეთი შთაბეჭდილება, ვითომ დეპუტაციას უნდოდა ერთი ერის კარგი თვისების გადიდება და მეორე ერის ღირსების დამცირება. დეპუტაციას ნამდვილად არ ჰქონია ასეთი განზრახვა“.

ყველა ამის შემდეგ ნუ თუ აშკარა არ არის, რომ სოხუმის საბჭოს წევრები და თვით ქალაქის მოურავი თავის ადგილზე არა ზის. ნეტავი ამას გრძნობენ თუ არა? და თუ გრძნობენ რას უცდიან?!

*) ამოღებულია მოხსენების თარგმანიდან, რომელიც მოთავსებულია „საქართველოს“ გასული წლის მე-172 №-ში.

## პრესის მაგიერ

„სახალხო ფურცლის“ 497 №-ში ბ-ნი შინაური სწერს: „როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას პრინციპიულად გადაუწყვეტია, გამოსცეს ნოე ჟორდანიას ზოგიერთი ნაწერი ცალკე წიგნადო და სხვ.“

სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია ლაპარაკი იმაზედ, თუ რამდენად შეუსაბამოა და შეუწყნარებელი პირველდაწყებით საგანმანათლებლო საზოგადოებას საზოგადოებისვე გამგეობამ თავს მოახვიოს პარტიული ბელადების ნაწერების გამოცემა. ამგვარი პრეცედენტის შექმნის ხიფათი ყველასათვის ცხადია და არა გვგონია წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას ასეთი ნაბიჯი გადაედგას. ეჭვი შეგვაქვს თვით ცნობის სისწორეში. პატივცემული გამგეობა კარგს ინებებს ამ ხმებს გაჰფანტავდეს.

## რუსული პრესა

„ნოვ. ვრემია“ შვეციის პოზიციის შესახებ სწერს: „შვეციაში ბევრს ლაპარაკობენ ომზე. რა ომის შესახებაა კამათი: მხლოდ დ მხოლოდ რუსეთთან ომის შესახებ. განა არის თუნდა ერთი პარტია, ერთი სახელმწიფო გამოჩენილი მოღვაწე, რომელიც როდისმე მაინც შესაძლებლად სცნობდეს გერმანეთთან ომს? თვით საკითხის სახით დაყენება უცნაურად მოეჩვენება შვეციას. იქ ბევრი მყვირალა მოღვაწე და ჟურნალ-გაზეთია, რომელიც რუსეთთან ომს მოითხოვს. სამაგიეროდ, არც ერთი ადამიანი არ მოიპოვება გერმანეთზე აზრად მაინც გაიტაროს ვეომებიო. ამ მხრივ შვეცია დიდად წააგავს იტალეთს. იტალეთმა დიდი კრიზისი გადიტანა, რომლის განმავლობაში სულ ომზე იყო ყვირილი. მაგრამ ომის ძახილს განსაზღვრული სარჩული ჰქონდა, ყველამ იცოდა, რომ იტალეთი ავსტრიასთან ომს ჰგულისხმობდა. 1915 წლის დასაწყისში ვინც იტყოდა: „იტალეთი მალე გამოვაო“, უთუოდ ჰგულისხმობდა, რომ იტალეთი ავსტრიის წინააღმდეგ გამოვიდოდა. რა თქმა უნდა, ამ მხრივ იტალეთის ნეიტრალიტეტობა ფრიად
კოპერი იყო. შვედელთა ნეიტრა
[illegible] ეს ნეიტრალობა
[illegible]ალურად, თუ შ
ცია გერმანეთთან ომის შესაძლებ
ბას ისევე ჩასთვლის, როგორც რ
სეთთან. მანამდე კი რუსები მათ
თვლით როგორც მოწინააღმდეგე
როგორც მომავალ მტრებს...

## დეპეშები

(„საქართველოს“ საკუთარის კორ
პონდენტებისაგან).

ოსმალეთის ზღვის პირა ჯარ
ჰანეთის შორეულ ადგილებისკენ
დიან.

—

ავტორიტეტულ წრეებში ის ა
მეფობს, რომ აზრუმის ამბების გ
ოსმალეთისა დაგერმანეთის სამხედ
შტაბი ხელს აიღებს იმ შემოტევ
რომელსაც ეგვიპტის წინააღმდ
ამზადებდა და რომელშიაც, წინდა
დამუშავებულ გეგმის თანახმად,
ნაწილეობა უნდა მიეღო ოთხას ათა
ჯარისკაცს, რომელთა შორის ა
ათასი გერმანელი ჯარისკაცი ურ
ვია. მთელი ეს ჯარი, ისე როგო
ოსმალთა სხვა თავისუფალი ჯა
კავკასიის ფრონტზე გაიგზავნე
რათა აზრუმის ამბები გამოასწორ
და დამარცხება აინაზღაუროს.

—

„რუსკი ინვალიდის“ აზრით ა
რუმის ამბები დააჩქარებს იმ შემ
ტევის დაწყებას, რომელსაც გერ
ნეთი ამზადებდა ფრანგებისა, ინგლ
სელებისა და რუსების წინააღმდე
გ. ვ.

„საქართველოს“ რედაქცია დაბეჯ
თებით სთხოვს ხელის მომწერთ, 
რადათ ან წერილობით აცნობ
ხოლმე, თუ გაზეთის რომელიმე ნ
მერი დააკლდეთ.

## ახალი ამბავი

✦ შიო მღვიმელის სადღესასწა
ლო დილაზე, სხვათა შორის, ბ-
ივანე გომართელი წაიკითხავს მოხს
ნებას, „შიო მღვიმელის პოეზიის თ
ბაზე. ბილეთები იყიდება მხოლ
„ძმურ ნუგეშში“.

✦ თავის მოწამვლა. გუშინ საღ
მოს თ-დ ვაჩნაძის ასულმა, მარიამ
თავი მოიწამლა, მიზეზი რომანიულ
მკლავზე საუცხოვოთ აქვს ამოქუ
შეყვარებულის სახელის და გვარ
პირველ დაწყებითი ასოები: „ვ. ა.“

**სამსტატო ინსტიტუტში** ომში გ
წვევის გამო წელს ადრე მოხდა კუ
დამთავრებულთა გამოცდა. 27 მოწ
ფიდან დაამთავრა ინსტიტუტი 14 მ
წაფემ მათ შორის ერთმა ქართველმ

✦ **დუშეთის მაზრის** საპოლიც
და მომრიგებელ მოსამართლეთა ო
ონების მიჯნები მეფის ნაცვლის დ

## სოფელი და სოფლელები

**სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობებში.**

(კრიტიკული მიმოხილვა)

(გაგრძელება. იხ. „საქართველო“ № 27)

ჯორ-ზაქარა აშკარად და მოურიდებლად გამოვიდა უსამართლობასთან საბრძოლველად, თავის თავის და მეზობლების დამცველად. ის იმ გარემოებასაც არ შეუშინდა, რომ ბატონს და მის მოურავს იცავდნენ და მფარველობდნენ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, რომ „სუდი და პალატა მათს ხელში იყო“, რომ მაზრის უფროსი, მომრიგებელ მოსამართლე, მომრიგებელ შუამავალი და ბევრი ქალაქის უმაღლესი მოხელეები ბატონის ან ამხანაგი ან და სიძე ბიძაშვილები იყვნენ.

თავდაპირველად ჯორ-ზაქარას სოფლის დამრბევ უსინდისო სოსიკო მოურავთან შეხვდა შეტაკება. „სოსიკო, მიმართავს მოურავს ერთს შემთხვევაში ჯორ-ზაქარა,—ბატონ-ყმობა გადავარდა; შენ, ჩვენი სისხლ-ხორცი მოგვევლინე ბატონად და ამაწიოკებლად სოფლისა. ჩამოეხსენ სოფელს, ნუ აწიოკებ, თორემ იაფად არ დაგისვამ მე ამასა... რას მიყურებ? მე ჯორ-ზაქარას მეძახიან. ისე ამოგიმტვრევ მაგ ცხვირპირსა, რომ სთქვა, ეს რას გადავეყარეო!

თავის მხრით ძლიერი მოურავი ასე დაემუქრა ურჩს და თავხედს ჯორ-ზაქარას: „მაშ ეს ულვაში ამიწიე და შიგ ჩამაფურთხე, თუ მე შენ უნარი არ გიჩვენო“ (გვ. 21).

მალე, ძალიან მალე შეხვდნენ ერთმანეთს სოსიკო და ჯორ-ზაქარა. ერთს დღეს სოსიკო „დაერია სოფელს“; სხვათა შორის, ჯორ-ზაქარას დარბევაც დააპირა, „შემოურბინა მის ხბორებს“. ზაქარა,—ეს ჩვეულებრივად დინჯი ზაქარა,—ფრინველად იქცა, თითქოს ფრთები შეესხაო და ბოხის ხმით დასჭყივლა: „შენ ხარ ჩვენი სისხლით გაუმაძღარი, ცხენის წურბელასავით გაბერილხარ სისხლითა, მე შენ დაგცლი მაგ სისხლისაგან“. ამის თქმა და ჯოხის დარტყმევა ერთი იყო. მოურავს ჯოხი ისე მძლავრად მოხვდა, რომ ის კალმახივით გადატრიალდა ჰაერში და ზღართანი მოსდო მიწაზე.

სოსიკოს გალახვა თავად ესტატემ თავის შეურაცყოფად მიიღო. გაწყრა ბატონი. ისე გაწყრა, რომ სულ ცოფები ყარა პირიდან. „მაშ მე კაცი არ ვყოფილვარ! ციმბირს წავალ და მაგას კი არ შევარჩენ“, ყვიროდა ბრაზმორეული თავადი. ამ შემთხვევის შემდეგ ზაქარა ხალხის თვალში ერთიორად გაიზარდა, ამაღლდა, საყვარელი და პატივსაცემი გახდა. ეს პირველი მაგალითი იყო, რომ ბატონის კაცს სოფელში ხელი შეახეს. ჯორ-ზაქარამ კარგად იცოდა, რომ ეს საქმე მას მუქთად არ ჩაუვლიდა, მაგრამ არ შიშობდა, გული გასალკლდევებული ჰქონდა.

ეს დღე იყო და ეს: აქედან დაიწყო მკაცრი, შეუბრალებელი და დაუსრულებელი აყალ-მაყალი, საჩივარი და სიძულვილი ძლიერ ბატონის და სუსტი ზაქარას შორის.

ბატონმა არ დაუყოვნა შურისძიება. თავდაპირველად მან ჯორ-ზაქარას ოჯახური შეურაცყოფა მიაყენა. მეკობრესავით მიუვარდა მისს ცოლს ვენახში და უნდოდა გაუპატიურება. ამავე დროს შეუდგა მის ქონებრივად დასჯას. ბატონის ბრძანებით ბიჭებმა ერთს ღამეს ის რუ, რომელიც თავადის ეზოდან გამოდიოდა და მერე ჯორ-ზაქარას ვენახს უვლიდა, სხვა გზით გაუშვეს. ბატონს განზრახვა ჰქონდა ჯორ-ზაქარას წისქვილი გაეუქმებინა და მისი ვენახიც ურწყავად დაეგდო.

ამის შემდეგ ბატონი სამამაპაპეულო ადგილის წართმევას შეუდგა და მართლაც წაართვა კიდეც. ერთის სიტყვით, ამოიჩემა ურჩი ზაქარა და მთლა განადგურებას უპირებდა. ჩვენ არ შეუდგებით ამ შეუბრალებელი შურის ძიების სხვა და სხვა ეპიზოდების ვრცლად გადმოცემას. ჩვენ გვაინტერესებს უმთავრესად ის, თუ როგორ გამოეხმაურა ამ ძალადობას და უსამართლობას სოფლის წარმომადგენელი და თუ რა ხასიათი მიიღო მისმა ბრძოლამ და პროტესტმა. ცოლის შეურაცხყოფისა გამო აი რას ეუბნება ზაქარა სოფელს: „ჯერ ბატონყმობის კუდი არ არის გასწორებული, მაინც გვხვდება ეს კუდი და გვსუსხავს კვალინდებურად; დიდხანსაც არ გასწორდება; სწორედ ძაღლის კუდია; თუ გინდა კალაპოტშიაც ჩასდო, არ გასწორდება, სანამ ძირში არ გასწყვეტთ. ხელის შეშვება არ ვარგა, თორემ ბატონობას ბოლო არ მოეღება, ბოლო! მე იმისთვის კი არ ვამბობ, რო გული მიწევს და ჩემი ოჯახის შეურაცხყოფა მოინდომეს. სულიც არა! კანონის წინაშე გავერთიანდით, გვეგონა მთა და ბარი გასწორდაო, მაგრამ ფუჭი გამოდგა ჩვენი იმედი. მამული ბატონს დარჩა; უმამულოდ კი ფრთა შეკვეცილ ქათამს ვგევართ, რომელიც, ისეც ფრენას გადაჩვეული, ღობეზედაც ვერ შეფრინდება... ბატონ-ყმობის დროს ვინ რას გვკითხავდა. ჩვენი ქალები მათი იყო, მაგრამ ეხლა? კანონის წინაშე ერთი ხართო, ეგენი-კი, ე ბატონ-მოურავები, თავისას არ იშლიან; სოფელმა თუ თავი არ გაიმაგრა, ნამუსი გაწყდება სოფელში, სირცხვილს ვსჭამთ და ჩვენი სოფელი თითით საჩვენებელი იქნება“ (გვ. 37).

მომრიგებელ-შუამავალს, ბატონის ღვიძლ ბიძაშვილს, რომელიც მოვიდა სოფელში მიწის ჩამოსართმევად და რომელმაც ჯორ-ზაქარას მოსთხოვა საბუთების წარმოდგენა, ეს უკანასკნელი ასე უპასუხებს: „ანწუხზედაც რომ დამაგოთ, აიმ ხეზე რომ ჩამომახრჩოთ, მე იმ საბუთებს თქვენ ვერ ჩაგიგდებთ ხელში... თქვენ იმისი ბიძაშვილი ხართ... არ დამინდობთ, იმ საბუთებს გამიქრობთ და ამ მამულს ხელიდან გამომაცლით... ეს მამული რომ წამერთოს, უნდა სული ამომეხუთოს, სახლიდან გამოსასვლელი გზა აღარ მექნება. ციმბირში მზათა ვარ წავიდე სიმართლისთვის“ (47 გვ.).

და მართლაც ჯორ-ზაქარას „სასამართლოში სიარულით გამოულამდა“; მთელი თავისი სარჩო-საბადებელი ამ საქმეს, ბატონთან საჩივარს გადაალია; გაძვალტყავდა ზაქარა, მაგრამ ბრძოლას-კი თავი არ დაანება. „ეწვალა, იტანჯა ასე წოწიალით და სიარულით“ (გვ. 51), ბოლოს მამული მაინც წააგო. ზაქარამ გადაწყვიტა სისხლი დაეღვარა მამულში, შიგ მომკვდარიყო ბარემ და მერე თუნდაც წაერთმიათ, არ ინაღვლებდა. „მუსრი ჩვენს სისხლის მწოვლებს, მუსრი“, ხშირად გაიფიქრებდა ხოლმე ზაქარა გულში.

მთელი სოფელი თანაუგრძნობდა ჯორ-ზაქარას, რადგანაც ხედავდა, რომ მთელი სოფელი უკან-უკან მიდიოდა, ღარიბ-ღატაკდებოდა; სული გაუნთავისუფლდა ხალხს, ხორცი-კი ბატონს დარჩა (60 გვ.).

„ფიალა მოთმინებისა აივსოო“, სთქვა ბოლოს ჯორ-ზაქარამ გადაწყვიტა სოსიკო მოურავის, უკვე ბ-ნ „იოსებ პაატიჩად“ გადაქცეულის, მოკვლა. ზაქარა დიდხანს ებრძოდა თავის თავს—გავისვარო კაცის სისხლში ხელი, თუ არაო. ბოლოს მაინც გამდიდრებულ-გალაღებულ და ჩასუქებულ „იოსებ პაატიჩს“ მოხერხებულ ადგილს გული ტყვიით გაუგმირა. ოღონდ ძვირად კი დაუჯდა საბრალო ზაქარას ეს საქმე: მალე მტრებმაც გამოუსალმეს იმას წუთი სოფელს საყვარელი ცოლ შვილი!..

როგორც ვხედავთ, ჯორ-ზაქარა იდეალური ტიპია. მწერალს უყვარს ეს სოფლის ღვიძლი შვილი და ყოველივე მხატრულს ხერხს ხმარობს, რომ ღირსეულად გააშუქოს მისი სახე და მკითხველსაც შეაყვაროს. მაგრამ თვით ეს განსაკუთრებული ცდა და შეგნებული სურვილი ასუსტებს და ამკრთალებს ამ ტიპის მხატრულს ღირებულებას. ზაქარას სახეს, ჩვენი აზრით, აკლია ბუნებრივობა. მის პიროვნებაში მწერალი შეუმცნებლად ერთმანეთში ურევს ჩვენი ცხოვრების სხვა და სხვა დროის და ეპოქის ელემენტებს და თვისებებს. აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარს მხატვრულს ანაქრონიზმთან გვაქვს საქმე: ჯორ-ზაქარა თავისი მსჯელობის კილოთი და შინაარსით უფრო „მოძრაობის“ დროის მეთაურს გვაგონებს, ვინემ ბატონყმობის გადავარდნის დროის გონს მოსულს და გათვითცნობიერებულ გლეხს...

გავეცნოთ ბ. ს. მგალობლიშვილის მესამე გმირსაც. ეს არის ბატონის კარზედ გაზრდილი და იქვე გარყვნილ-გაფუჭებული, ქურდობას მიჩვეული მთიული სესე. სესემ ძლივს დააღწია თავი ბატონის სამსახურს და თავისი კერა გაიჩინა. საბრალო გლეხი ახლა მაინც ცდილობს პატიოსნურად იცხოვროს, ბატონის კარზე შეთვისებუ-
ლი საძრახი თვისებებისაგან განთავ
სუფლდეს. მაგრამ ერთხელ ნაძრა
სესეს ყველა ეჭვის თვალით უყურე
აი ამ უნდობლობა-ეჭვიანობაზე აღმ
ცენდა მისი სულიერი ტრაღედია. ჩვ
არ ვიცით, რა მიზანი ჰქონდა ავტო
სესეს ტიპის დახატვის დროს: უნდ
და თუ არა დადებითი ტიპი შექმ
თუ უარისყოფითი, მაგრამ ჩვენთვ
ერთი კი ცხადია, რომ სესე ნამდვი
პატალოგიური ტიპია: მის ძარღვებ
დამნაშავის სისხლი მოძრაობს.

განიძრახა თუ არა შურის ძიე
სესე ნადირივით ტყეში გაიჭრა. ყ
ველივე მისს მოძრაობას და საქციე
ავადმყოფური ხასიათი ჰქონდა. მი
სახის გამომეტყველებაც სულიე
ანორმალურობას ამტკიცებდა. სო
„წვერ-ულვაში და თმა ასწეწოდა
გაჰბურძგნიყო... ცოფიანივით მიაჯ
მოავლო არე-მარეს თვალი, მუხლ
მკლავები მოჰხვია, კბილი ჩაჰკ
კვისტავს და კარგა ხანს და
ასეთს მხეცურს მდგომარეობაშ
ის პირუტყვულად ღმუოდა „ხ
შოდა, გმინავდა“ („მთიული
სე“, გვ. 4—5). „სამი დღე ნადირი
სულ ტყე-ტყე დაეხეტებოდა“. (იქ
გვ. 9). მას სწყუროდა სისხლი. „
გული არ დამშვიდდება, მინამ ამ
ხანჯლის შვილს ქიტესას სისხლში
გავსვრი“, ამბობდა გამხეცებული
სე. მაგრამ სესემ მოურავი ქიტ
სისხლის მაგიერ მისი უმანკო ბავშ
სისხლი დაჰღვარა. აი როგორ მოხ
ეს: „მუშის სადილობაა. მგზავრი
სე მჭედელთან მიდის, სახლში არავ
არის: მუშა დღეა; ყველა ადრიან
გასულა მინდვრად სესემ მიატ
ბორბალას და მის ჩრდილში აღელ
ბული გონება მოასვენა.

ივ. ვართაგავა.

(შემდეგი იქნება)

მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის განკარგულებით შეცვლილ იქმნა.

**დიდუბის ტაძრის საკითხი.** როგორც გავიგეთ, უწ. სინოდს განუხილავს მოხსენება შემდგარი სასინოდო კონტორის მიერ, ახალ ეკლესიის აგების შესახებ დიდუბეში რუს მრევლისთვის, იქვე დიდუბის ტაძართან ახლოს და ამ ტაძრისვე ხარჯით. სინოდს ეს მოხსენება მოუწონებია და კანტორას ამ საგანზე უკვე დასტური მიუღია.

**ნ. ი. ნიკოლაძის საქმე.** შაბათს, 6 თებერვალს, ქუთაისის ოლქის სასამართლოს უნდა გაერჩია ცნობილ პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ბ-ნ ნ. ნიკოლაძის საქმე. პეტროგრადიდან ჩამოვიდა ნიკოლაძის დასაცველად გამოჩენილი იურისტი კარაბჩევსკი. სასამართლომ საქმის გარჩევა გადასდვა, რადგან ყველა საჭირო საბუთის ქაღალდი ხელთ არა ჰქონია.

**წამლის მცენარეთა მოშენება.** ხვალ, 10 თებერვალს, კავკასიის სასოფლო სამეურნეო ინსპექტორის ბ-ნ ტიმოფეევის თავმჯდომარეობით აგრონომების კრება უნდა შესდგეს, რომელსაც თათბირი ექნება ამიერ კავკასიაში სამკურნალო მცენარეულობის მოშენების თაობაზე.

**მომხმარებელი საზოგადოება „მეურნე“.** კვირას, 7 ამა თვეს, მოხდა საზოგადოების წევრთა საგანგებო კრების გაგრძელება. თავმჯდომარეობდა ბ-ნი შ. ქარუმიძე. კრებას უნდა აერჩია გამგეობის 5 წევრი. ძველი გამგეობის თავმჯდომარემ თავ. მ. დ. ჭავჭავაძემ და გამგეობის წევრმა ბ-ნმა კ. ხახანაშვილმა უარი განაცხადეს თანამდებობაზედ და არ ისურვეს მათთვის კენჭი ეყარათ. დასახელებულ იქმნა კანდიდატებად ცხრა კაცი. მათ შორის ფარულის კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ ბ-ნნი შ. ქარუმიძე, ს. დადიანი, თ. ღლონტი, ი. ბალიაშვილი და ი. ზედგინიძე; კანდიდატად გ. კანდელაკი.

**საკლავ საქონლის რეკვიზიცია.** ამ ჟამად კახეთში საკლავ საქონლის რეკვიზიცია ხდება. საქონელი ჯარის საკვებად სჭირდება მთავრობას. საქონელი მიჰყავთ წონით, ფუთი 4 მანეთად. ათ ფუთიანზე ნაკლები წონის საქონელი არ მიჰყავთ.

**სკოლის საჭიროება.** ბ-ნი პეტრე ჭარაია სწერს წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობას, რომ სამურზაყანოში აუცილებლად საჭიროა პირველ დაწყებითი სკოლა და ნუ დააგვიანებთ ასეთი სკოლის გახსნასო.

**მომხმარებელ საზოგადოების „მეურნის“** ახალ გამგეობას გუშინ ჰქონდა პირველი კრება. გამგეობა ჰფიქრობს ამ მოკლე ხანში გახსნას სავაჭრო ოპერაციები.

**საქველმოქმედო საღამოზე,** რომელიც ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ გამართა „ახალ კლუბში“ 24 იანვარს შემოვიდა სულ 4.312 მან. 21 კაპ. დაიხარჯა 1.709 მან. 13 კაპ. დარჩა წმინდა 3.603 მან. 08 კაპ.

**გასაჭირი ახალციხეში.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ახალციხის განყოფილების თავმჯდომარე დეკანოზი ხახუტაშვილი განმეორებით დეპეშით ატყობინებს საზოგადოების მთავარ გამგეობას, რომ გადმოხვეწილთა შორის დიდი გაჭირვებაა სურსათის უქონლობის გამო და როდის გამოგზავნით ფულს სურსათის შესაძენადო.

**ქართულ გიმნაზიასთან** არსებულ უსასყიდლო სასადილოს მმართველმა საზოგადოებამ თავისს წარმომადგენლებად ქართულ კულტურულ განმანათლებელ კავშირში აირჩია 7 თებერვალს კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, კნ. ე. მ. ერისთავისა და კნ. ა. მ. დიასამიძისა.

**სურსათი.** 6 და 7 თებერვალს შემოიტანეს თბილისში: ფქვილი 1 ვ., ქერი 1 ვაგ., ღვინო 13 ვაგ., ბრინჯი 1 ვაგ., ხილი 1 ვაგ., შეშა 12 ვაგ., ქვანახშირი 5 ვაგ., ნავთი 1 ვაგ., მაზუთი 4 ვაგ.

**გადამდები სნეულებანი.** გუშინ, 8 თებერვალს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 162, ხუნაგიანი 25, ყვავილიანი 1, სახადიანი 30 (ამათ რიცხვში სამხედრო პირი 9), საოფლიანი 12, წითელქარიანი 1 და მუცლაიანი 1 კაცი.

**სოფ. კაკი** (საინგილო). ოლქის უმფროსმა სამი ათასი მანეთით დააჯარიმა ადგილობრივი ვაჭარი ოვანატანიანცი, ამ უკანასკნელს ოლქის უმფროსისაგან მიცემული ჰქონდა 20 ვაგონი, რომლითაც პური უნდა მოეტანა და ხელსაყრელს ფასებში გაეყიდნა საინგილოში, მაგრამ ამ ვაჭარბატონმა ათი ვაგონი სხვას გაუბოძა და დანარჩენი ათი ვაგონი ჯერაც არ მოუტანია საინგილოში.

ხალხი მოხარულია ამგვარის ზომისა, იქნება ამის შემდეგ ჩარჩ-ვაჭართა თარეშობას ცოტათი მაინც არის ლაგამი ამოედოს და უწყალოდ აღარა ყვლეფავდნენ ღარიბ ხალხს.

— ქურდობა გახშირდა, რაიც უფრო იმით აიხსნება, რომ ხალხი ამ ჟამად დიდს გაჭირვებაშია და შიმშილს განიცდის.

— ცხვრის ავადმყოფობა ე. წ. ჭლექი, მუსრს ავლებს ცხვარსა, ზოგიერთს მეცხვარეს ნახევარი ცხვარი გაუწყდა.

**კიევი.**

26 იანვარს კიევის ქართველ სტუდენტთა (საექიმო ფაკულტ.) თაოსნობით გადახდილ იქმნა პანაშვიდი აკაკი წერეთლის სულის მოსახსენებლად. სხვათა შორის დაესწრნენ პანაშვიდს უკრაინელები, პოლონელები, ებრაელები.

**მოსკოვი.**

წელს იანვარში ქ. მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიკო-ფილოლოგიური ფაკულტეტი მოწმობით გაათავა სამმა ქართველმა: გრ. ვეშაპიძემ, ქრ. კაპანაძემ და ივ. წულეისკირმა. ქრ. კაპანაძემ ფაკულტეტს წარუდგინა საკანდიდატო თხზულება საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის ისტორიიდან, რომელიც პრივატ-დოცენტმა ს. სმირნოვმა მოიწონა.

## მილოვ-ადილხანოვისა და სხ. საქმე.

როგორც ვიცით, ოლქის სასამართლომ არ შეიწყნარა ბ-ნ ადელხანოვის თხოვნა, რომ თავდებობით გაენთავისუფლებინათ სატუსაღოდან, ხოლო ბატონთ მილოვისა, ოსეპიანცისა და ჩაჩიკიანცის შესახებ დაადგინა: განსაზღვრულ სათავდებო თანხის წარდგენის შემდეგ ესენი გაენთავისუფლებინათ სატუსაღოდან. ოლქის სასამართლოს განაჩენი სამოსამართლო პალატაში განასაჩივრეს თავის შესახებ ბ-ნმა ადელხანოვმა, ხოლო მილოვისა, ოსეპიანცისა და ჩაჩიკიანცის შესახებ სასამართლოს ბრალმდებელმა. პალატამ ეს საქმე გაარჩია შაბათს, 6 თებერვალს და ადელხანოვის საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა, ხოლო ბრალმდებელის საჩივარი შეიწყნარა, ე. ი. ოლქის სასამართლოს დადგენილება გააუქმა და შეუძლებლად აღიარა თავდებ ქვეშ გაშვება ბ-ნთ მილოვისა, ოსეპიანცისა და ჩაჩიკიანცისა, ვინაიდან, პალატის აზრით, ამათ ყოველივე ღირსების ახდა მოელით.

## ქართული ეკლესია პეტროგრადში

(„პეტერ. ვედ. № 26).

კვირას, 31 იანვარს, პეტროგრადის ცენტრალურ ბანკის დარბაზში მოხდა პეტროგრადის ქართველთა ახალშენის კრება. თავმჯდომარეობდა თ-დი ვ. ს. მიქელაძე. კრება ნებადართული იყო პეტროგრადის ქალაქის უფროსისაგან. კრებას უნდა განეხილა საკითხი პეტროგრადში ქართულ ეკლესიის აგებისა.

თავმჯდომარემ საუცხოვო მხატვრულ ფერადებით დაასურათა გარემოებანი, რამაც პეტროგრადის ქართველთა შორის დაჰბადა აუცილებლობა სატახტო ქალაქში ქართული ეკლესიისა. შემდეგ კრებას მოახსენა შარშან, 15 ქრისტეშობისთვეს საგანგებოდ არჩეულ რწმუნებულთა მოქმედების ანგარიში.

ეს კომიტეტი, უპირველესად ეახლა, თურმე პეტროგრადისა და ლადოჟის მიტროპოლიტს პიტირიმს, ითხოვა მისგან ლოცვა-კურთხევა ამ წმინდა საქმეში დახმარება.

მეუფე პიტირიმი გულის სავსებით მიეგება ამ შუამდგომლობას და აღუთქვა დახმარება პეტროგრადში ქართული ეკლესიის აგების საქმეში. რადგანაც ქვეყანა დღეს მძიმე პირობებში იმყოფება და ეკლესიის აგებაც ძალაუნებურად გაჭიანურდება, მეუფე პიტირიმი, გულმხურვალედ მოეკიდა საქმეს, მით უმეტეს, რომ პეტროგრადის ქართველობას და განსაკუთრებით პეტროგრადში მყოფ ქართველ დაჭრილ მეომრების სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება კი აუცილებელია, რადგანაც სლავიანური წირვა-ლოცვა მათ არ ესმით.

ამის გამო მიტროპოლიტმა პიტირიმმა რწმუნებულებს შესთავაზა ერთ-ერთი ეკლესია, სადაც დროებით თავს შეაფარებს ქართული კრებული და წირვა-ლოცვას ქართულად მოისმენს.

ამ მოხსენების მოსმენის შემდეგ, კრებამ დაავალა თ-დ ვ. ს. მიქელაძეს, ულრმესი და უგულითადესი მადლობა გადასცეს მეუფე პიტირიმს იმ მხურვალე თანაგრძნობა-მონაწილეობისათვის, რომელსაც იჩენდა საქართველოს სამწყსოს მიმართ ექსარხოსობის დროს, რითაც ჩვენი ერის უდიდესი და საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა.

კრებაზე გამოირკვა, რომ უმაღლეს წრეებში თანაგრძნობით ეგებებიან პეტროგრადში ქართულ ეკლესიის აგების საქმეს.

კრებამ დაადგინა, დროებით რომელიმე ორ საკურთხევლიან ეკლესიაში მოახერხონ ქართული წირვა-ლოცვის მოწყობა.

ხანგრძლივ თათბირში მონაწილეობას ღებულობდნენ გენ.-მაიორი თ-დი ი. ა. ნაკაშიძე, მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ამალის წევრი თ-დი ა. ი. ბაგრატიონ-მუხრანელი, თ-დი ზურაბ დ. ავალიშვილი, ა. დ. ქორქია, თ-დი ი. გ. თარხნიშვილი და სხვანი. კრებამ კომიტეტს დაავალა საქმის მოწესრიგება.

კრებამ მადლობა გადაუხადა კომიტეტის გამოცდილ ქართველ მოღვაწეს თ-დ ვ. ს. მიქელაძეს თავდადებულ და ერთგულ საქმიანობისათვის პეტროგრადის ქართულ ეკლესიის დაარსებაში.

ჩვენ განსაკუთრებულის სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კრებამ უგულითადესის პატივისცემით მოიხსენია „პეტ. ვედ.“-ის დიდი ხნის თანამშრომელი, ცნობილი კანონისტი ნ. ნ. დურნოვო, რომელიც დიდი ხნის მეგობარია ივერიის ეკლესიისა.

ობ.

## სკოლები აჭარა-ქობულეთში

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ქართული საქველმოქმედო საზოგადოება ხსნის აჭარა-ქობულეთში სკოლებს. ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილია გაიხსნას ცხრა სკოლა. ორი ამათგანი ერთი სოფ. ხუცუბნის (ქობულეთში) და მეორე ს. ხულოს (ზემო აჭარა) სამეურნეო განყოფილებით იქნება. თითოეულ სკოლაში გადაწყვეტილია მოიწვიონ ორი მასწავლებელი, ერთი ვაჟი და ერთი ქალი. მოსწავლე ქალ-ვაჟიც ცალ-ცალკე ოთახში ისწავლიან და არა ერთად. სკოლების გახსნის ნებართვა უკვე დართო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა და ბათომის გუბერნატორიც მათ გახსნას სიამოვნებით ეგებება. თვით მცხოვრებნიც ჩვენი მოძმე ქართველი მუსულმანებიც მოუთმენლად ელოდებიან სკოლების გახსნას და ჰპირდებიან შესაფერ დახმარებასა და თანაგრძნობას. სკოლებში სწავლა იქნება წესდების თანახმათ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლების მოწყობა და მათი მეთვალყურეობა საქველმოქმედო საზოგადოების მიერ მინდობილი აქვს ბ.ბ. არსენ სიმონის ძე წითლიძეს და იერემია დიმიტრის ძე გულისაშვილს.



არსენ სიმონის ძე წითლიძე.

**არსენ წითლიძე** გამოცდილი მასწავლებელი და სახალხო მოღვაწეა. ის 30 წელიწადია სოფლის სკოლებში მასწავლებლობს და ხალხში მოღვაწეობს. ცნობილია, როგორც დაუღალავი და სოფლის სკოლების თავდავიწყებით მოყვარული. არსენ წითლიძეს უმეტესად უმასწავლებლია გურიის სოფლის სკოლებში. ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ის განაგებდა წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელს.



იერემია დიმიტრის ძე გულისაშვილი.

**ბ-ნი იერემია გულისაშვილიც** გამოცდილი და დამსახურებული მასწავლებელია. მას კარგად იცნობს კახეთი და თბილისი საცა 30 წლის განმავლობაში მუყაითად მასწავლებლობდა. სრული იმედია ეს ორი სიყრმის ამხანაგები აჭარა-ქობულეთში სკოლების საქმეს მკვიდრ ნიადაგზე დააყენებენ და ეცდებიან სკოლებში ღირსეული მასწავლებლები გაანწესონ და მათ ხელმძღვანელობა არ მოაკლონ.

**ბ-ნი აპოლონ წულაძე,** რომელსაც ამავე საზოგადოებამ აჭარაში მეფუტკრეობის მოწყობა მიანდო, ჩვენში ცნობილია, როგორც დამწერი მეფუტკრეობის სახელმძღვანელო წიგნისა,



აპოლონ ივანეს ძე წულაძე.

„ფუტკარი და მეფუტკრეობა“, რომელიც დაჯილდოვებულია ოქროს მენდლით. იგი დაახლოვებით იცნობს აჭარის ცხოვრებას და ბოლო დროს ქართველ მუსულმანებს მიუძღვნა წიგნი „ძმური სიტყვა“.

## საჭიროა ახალი პედაგოგიური ჟურნალის დაარსება?

ვინ არ იცის რა საჭიროა და სასარგებლოა პედაგოგიური ორგანოს არსებობა ჩვენი, უკუღმართ ნიადაგზე მყოფ, სახალხო სკოლებისათვის; ჩვენში პირველ დაწყებითი სწავლა-აღზრდის საქმე განსაკუთრებით ცუდ პირობებშია; ამ გარემოებას ხელს უწყობს ერთის მხრივ სახალხო მასწავლებლების უმეტესობის მოუმზადებლობა, მეორე მხრით კი ჩვენი სკოლებისათვის „ჭირისუფლად“ მოწვეული მოხელეებისაგან დედა-ენის სისტემატიურად დევნა სკოლებიდან; არ იქნა, დღემდე ვერ ეღირსა ჩვენ სკოლებს თავის განთავისუფლება „პეტროვ-გასპარიანცის მზგავს „დარაჯებისაგან“, რომლებსაც ჟანდარმობა — გაჩხრეკა, დაბეზღება უფრო ეხერხებათ, ვიდრე დირექტორ-ინსპექტორობა, და სწავლა აღზრდის ხელმძღვანელობა... ვინ უნდა გასცეს პასუხი ჩვენ სკოლებში გამეფებულ უკუღმართობას და უკუღმართობის ჩამდენთ? სახალხო სკოლების შეგნებულმა მასწავლებლებმა და პედაგოგიურმა ორგანომ. როცა ჩვენში პედაგოგიური ჟურნალი არ არსებობდა ჩვენი სკოლების გულშემატკივარნი ყოველ დღიურ პოლიტიკურ ორგანოს საშუალებით ჰგმობდენ ხოლმე ჩვენი სკოლების უკუღმართობას. პედაგოგიური ორგანოს დაარსება არც ასე ადვილი საქმე იყო; მიზეზი ამისა ერთი მხრივ იყო და არის საერთო დაბრკოლებანი, რომლებიც წინ ეღობება ჩვენში საზოგადოთ საგამომცემლო საქმეს, მეორეს მხრივ-კი ჩვენი პედაგოგიური ძალების სისუსტე და უმეტესად დაქსაქსვა. მაგრამ ბოლოს ყველა ეს სიძნელე ძლეულ იქმნა და დაარსდა პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს ბიტონი ბოცვაძე.

ცხრა წელიწადია რაც ეს ჟურნალი გამოდის. მას დიდი სამსახური მიუძღვის ჩვენი სკოლებისადმი. იგი შეძლების დაგვარად ჭირისუფლობდა მას. შეძლების ფარგალში გვაცნობდა თანამედროვე ჩვენს სოფლელებს, პედაგოგის პრინციპებს. ჟურნალი კი ადგილს უთმობს აგრეთვე სიტყვა კაზმულ მწერლობასაც რითაც მასწავლებელთ საშუალებას აძლევდა რამდენიმეთ მაინც თვალყური ედევნებინა მშობლიური მწერლობის განვითარებისათვის. დღეს ამ ჟურნალით, თუ ამ ერთ ჟურნალით არ კმაყოფილდებიან. განზრახული აქვთ ქუთაისში ახალი პედაგოგიური ჟურნალის დაარსება: ჩემის აზრით, ახალი ჟურნალის გამოცემა საჭირო არ არის. ამას ის ემჯობინება რომ ცოცხალმა და შეგნებულმა პედაგოგიურმა ძალებმა თავი მოიყარონ ჟურნალ „განათლების“ გარშემო და შეეცადნენ მის გაუმჯობესობას და გაშინაარსიანებას. უნაკლო არა არის რა და „განათლების“ ღირსებასთან ერთად, არა ერთი და ორი ნაკლი აღმოაჩნდება. ცხადია, რაც მეტი ცოცხალი ძალები მიიღებენ „განათლებაში“ მონაწილეობას, იმდენათ უფრო საინტერესო და ნაყოფიერი გახდება იგი. იქნებ ეს ყოველთვიური ჟურნალი ყოველ კვირეულ ჟურნალად გადაკეთდეს, რომ მეტი მოძრაობა და სიმკვირცხლე შეიტანოს მასწავლებელთა ცხოვრებაში. ხოლო ორი პედაგოგიური ჟურნალის არსებობა ჩვენში თუ არ შეუძლებელი, მეტად ძნელი იქნება. ჯერ ერთი რომ მომზადებული სამწერლო ძალები იმოდენად ცოტა გვყავს, რომ ისიც კარგი იქნება თუ ერთ ჟურნალს აუთავდნენ. გარდა ამისა ვინ არ იცნობს სახალხო მასწავლებლის უნუგეშო ნივთიერ მდგომარეობას, სადა აქვს მასწავლებელს ორი პედაგოგიური ჟურნალის გამოწერის საშუალება, ეს გარემოებაც ხომ საყურადღებოა. პედაგოგიური ჟურნალი პარტიული ორგანო ხომ არ არის, რომ რომელიმე ჯგუფს არ მოსწონდეს და ამისათვის სცდილობდეს გამოყოფას და საკუთარი ორგანოს დაარსებას; სკოლას და სწავლა-აღზრდის საქმეს პარტიობა და ჯგუფობრიობა არ მიუდგება, მისი გზა უფრო ფართოა და მიზანი უფრო რთული. ყველა ამ მოსაზრების ძალით, სასურველია ქუთაისში ახალ პედაგოგიურ ჟურნალის დაარსებაზედ ხელს აიღებდენ და ამის მაგიერ შეეცდებოდენ უკვე არსებულის გაუმჯობესობას როგორც შინაარსისა, ისე ფორმის მხრითაც.

**გრ. საქარიქედელი.**

## შვეცია

**ლონდონი.** „Dailu chronikle“-ის კორესპონდენტი სტოკჰოლმიდან იტყობინება: საერთოდ შვეციას საფრანგეთის და ინგლისის მხარე უჭირავს, მაგრამ ეს თანაგრძნობა უფრო გამორკვეული იყო ომის დასაწყისში, ვიდრე ეხლა. იგი არ არის გერმანეთის მომხრე, მაგრამ არც ის შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად ინგლისის მხარეზე იყვეს. რატომაა ეს?

ჩვენ მიერ შექმნილმა ბლოკადამ გავლენა იქონია ზოგიერთ სავაჭრო წრეებზე, მაგრამ არც ერთი საღი მოაზრე შვეციელი არ გამხდარა გერმანოფილი მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ შევქმენით ბლოკადა. ცვლილებადცბა, როგორც ეტყობა, წარმოშო მათმა გულწრფელმა გატაცებამ გერმანელი ხალხით, მის დისციპლინით, მომზადებულობით და მის სივაჟკაცით.

— თქვენ ვერასოდეს ვერ გასრისავთ გერმანეთს, მისი ხალხი მძლავრია, მჭიდროდ შეკავშირებული, აღჭურვილი მამულიშვილურის გრძნობით. —მეუბნებოდენ შვედელები.—რაც მალე შეიგნებთ ამას, მით უკეთესი იქნება თქვენთვის.

— არც ერთი საღი მოაზრე ინგლისელი არა ჰფიქრობს გერმანეთის გასრესვას. ჩვენი მიზანია—პრუსიის სამხედრო მანქანა დავშალოთ. პასუხად შემდეგი იყო:

— თვენ ვერ შესძლებთ ამ მანქანის დარღვევას.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არაა გერმანელი, რომელსაც არ ესმოდეს, რომ ეს მანქანა საჭიროა მისი კერის დასაცველად.

— სცადეთ დაელაპარაკოთ მათ „ლუზიტანიის“ შესახებ—გიპასუხებენ, რომ გემზე სამხედრო სურსათი იყოო. თუ თქვენ უარჰყოფთ ამას, გეტყვიან:—იყავით პატიოსანნი. ერთნი ღუპავენ გემებს, მეორენი-კი შიმშილით ჰკლავენ ბავშვებს და ქალებს რა განსხვავებაა? თუ თქვენ ელაპარაკებით სიმხეცეზე—იღიმებიან. „თქვენ, მხოლოდ ერთს მხარეს უსმენთ“, გიპასუხებენ. თქვენ ამბობთ ბელგეთის შესახებ,—გეკითხებიან თუ ჩვენ, როგორ ვიქცევით საბერძნეთში. ყოველივე ამას გეუბნებიან არა კადნიერად არამედ მოწიწებით. მრავალი მათგანი, რომელთაც ჰსურთ ინგლისის გამარჯვება, თითქმის ვედრებით მეუბნებოდნენ საღად შეგვეხედნა ძირითად მიზეზებში ჩვენს დღევანდელ საშიშ მდგომარეობისა.

ინგლისის მეგობარმა ერთმა ცნობილმა შვედმა მითხრა: საქმეს უფრო სერიოზულად უნდა უყუროთ. თუ ინგლისს გამარჯვება ჰსურს, უნდა შეიცნოს მთელი თვისი სულიერი ძალა ამ ომში. თქვენ არ იქნებით დამარცხებულნი,—ყველა ვხედავთ ამას, მაგრამ ჩვენ ჯერ არ ვართ დარწმუნებული თქვენს საბოლოო გამარჯვებაში.

## საქართველოს სამხედრო გზაზე

ამ გზით მოგზაურს ვურჩევთ, ედიგაროვის ცხენებით და მისი ეტლებით იმოგზაუროს, ნამეტნავად ზამთარში, თორემ ბევრს ინანებს. ჩემის სამის ამხანაგით მომიხდა მოგზაურობა ყაზბეგის სადგურიდან თბილისამდე იანვრის 23-სა. ყაზბეგის სადგურზე ორს მარხილში და ოთხს ცხენში ქ. დუშეთამდის გამოგვართვეს 16 მან. და 30 კაპ. ამოველით კობში, წარუდგინეთ სადგურის უფროსს კვიტანციები და მარხილები მოვსთხოვეთ ორ-ორი ცხენით. უფროსმა გვიპასუხა, ცხენები გასულია და ხვალ დილამდე უნდა დარჩეთო. როდესაც დავარწმუნეთ, რომ 25-ს უთუოდ თბილისში უნდა გამოვცხადდეთო, გვითხრა ერთის მარხილით და ორის ცხენით უნდა წახვიდეთ, თუ არა დილამდე მოიცადეთო. მეტი ღონე არ იყო, დავემორჩილეთ ჩვენს ბედს; ჩაგვსხეს ერთ ვიწრო კუბოს მსგავსს მარხილში 4 კაცი, დავებლაუჯეთ მაგრათ ერთ-ურთს ხელებით და გავემგზავრეთ გუდაურისკენ. საღამოს საათის 8 იქნებოდა, როდესაც მშვიდობიანად მივაღწიეთ 7500 ფუტიან სიმაღლეთ, ჯვრის მთას და გადავ[illegible] გადასავალს დიდის [illegible] დაფარულს მთებსა, აქ კობიდამ მე-11 ვერსზე ერთს ცხენს მოცვეთილი ნალების გამო ყინულიანს გზაზედ ფეხი გაუსხლტა, წაიქცა და ოთხივე მგზავრი და მეეტლე რბილს თოვლზედ გადაგვაყირამალავა. ყველანი მშვიდობით გადავრჩით მაგრამ შევშინდით კი. ცხენები ნელა წავიყვანეთ რადგანაც ნალები არა ჰქონდათ. ჩვენც გვეშინოდა, იმ ადგილს, გუდაურს იქით, სადაც გრიგორიევის ავტომობილი გადავარდა და თითონ პატრონიც მსხვერპლი გახდა ღუდის კლდისა, ვაი თუ ჩვენც ის დღე დაგვემართოსო.

როგორც იყო მივაღწიეთ საღამოს საათის ცხრაზედ სადგურს გუდაურსა. სადგურის უფროსი მთვრალი დაგვხვდა, კვიტანციები გასინჯა და გამოგვიცხადა: დილაზედ ადრე თქვენთვის ცხენები არ იქნება, ცხენები გასულია და როცა მობრუნდებიან მაშინ აქ ხუთი მგზავრი სხვა მყავს გაჩერებული და ცხენები მათ ეკუთვნისო. ამაღამ გაჩერდით საერთო ოთახში და შეძლების დაგვარად გაგისტუმრებთო; შეველით ჩვენც იმ ხუთ მგზავრთან, რომელთაც ორი მარხილი ჩვენზედ წინ უნდა მიეღოთ, გავხდით ცხრა მოგზაური ერთად. ეს ოთახი არა ჰგვანდა ოთახს, არამედ წარმოადგენდა საცხენე ანუ საქათმე სარაიას ანუ ბოსელს. ბათქაში ჭერიდან ჩამოცვივნული იქვე იატაკზე ეყარა, კედლებს გამჭვარტლიანებული შპალიერის ნაგლეჯები აქა იქ დაჰკიდებოდა და ქარი არხევდა, თვით ფეჩსაც ბათქაში ასცვივნოდა და იქვე ფეჩის წინ ეყარა. ფეჩი თურმე ამ ზამთარ არც-კი გახურებულა, როგორც მოსამსახურეებმა გადმოგვცეს. ოთახის ორი ფანჯარა უშუშოთ იყო და შუშების მაგიერათ სახელმწიფო შინაგანი სესხის განცხადებები გაეკრათ, ეს განცხადებები ასრულებდენ ორს მოვალეობას, ერთს თავის თავად, რომ შინაგანი სესხი ეძლევა ამა და ამ პირობებით; მეორეს ამას, რომ ცოტათ თუ ბევრად გუდაურის მკაცრს თოვლიანს ჩუნქარს ოთახში არ უშვებდა. მოვექეცით ცხრა მოგზაური ამ საშინელს გაუთბობელს ოთახში, წინა მგზავრები ნაცნობები ამოჩნდენ. ვკითხეთ, რატომ ფეჩი მაინც არ გაახურებინეთო?—მიპასუხეს:—რის ფეჩის გახურება, ეს ლამფაც და ნავთიც დუქანში ჩვენ ვიყიდეთო. (კანდიციის ძალით შეშა და განათება კონტრაგენტისა უნდა იყვეს). როდესაც გავიგეთ სიყალბე სადგურის უფროსისა, ცხრავე მგზავრმა ერთის პირით მივმართეთ: ასე ღამის გათევა ყოვლად შეუძლებელიაო, ერთი მარხილი და ერთი წყვილი ცხენები გყავსთ და პირველი რიგის მგზავრები მაინც გაგვისტუმრეო. გვიპასუხა, როგორ გაგისტუმროთ, როდესაც არც „ემშიკი“ მყავს, არც „ვოზჟი“ არ გაგვაჩნიაო. მაშინ ერთმა მგზავრთაგანმა უთხრა: ეს ლამპა და ნავთი ხომ ვიყიდეთ, მედუქნეს ქირით საბლებს გამოვართმევ, შევაბამ ცხენებს ერთი ჩვენგანი მეეტლეობას გასწევს, წავალთ და ცხენებს მლეთის უფროსს მივაბარებთო. ჩვენ სამხედრო უფროსი გვიბარებს ჯარში და არ შეგვიძლიან თუ 24-ს დუშეთში არ გამოვცხადდითო. სადგურის უფროსი დაყაბულდა, ოსს საბლები აყიდვინა. როდესაც მგზავრმა ოსმა ქოქაშვილმა საბლები მოიტანა, სადგურის უფროსმა უარი უთხრა, ცხენებს არ გენდობითო. ოსი იძულებული გახდა „ვოინსკი ნაჩალნიკისათვის“ დეპეშა მიეცა და თავისი გაჭირვება აეხსნა. როდესაც ჩვენ ყველა მგზავრები ვევედრებოდით უფროსს, გაგვისტუმრეო, იმან თავისი თბილი კაბინეთიდან დაგვითხოვა და ასე გვითხრა: я съ вами больше разговаривать не буду-ო და მოგვიხურა კარები. რასაკვირველია, ამისთანა უზრდელობას ის არ ჩაიდენდა, ჩვენ რომ ქართულ ჩოხა-ახალუხებით არა ყოფილიყავით; სამწუხაროდ ევროპიული ცილინდრები, გახამებული პერანგი და პალტოები არა გვქონდა! —ან კი სად არის იქ ხათრი და შიში, საცა მთის ხალხი ცხვრის ტყავისაგან შეკერილს ქურქში გამოიყურება? საათის 9-ზედ მოსულნი, ხაშუაღამევის მეოთხე საათზე ძლივს ვეღირსენით გუდაურით მლეთისკენ გამგზავრებას. მლეთამდენ არის 14 ვერსი და ყოველთვის ამ გზას, თავქვე რაკი არის, ერთი საათი სჭირდება. მაგრამ ჩვენ მოგვინდა 4 საათი მლეთამდე იმით კი არა, რომ აქ ბრალი მეეტლეებისა იყო, არც იმითი, რომ ცხენები იყო დამნაშავე, არამედ იმითი, რომ ორ-ორი მარხილის მაგიერათ თითო მარხილი მოგვცეს და 4 ცხენის მაგიერათ აქაც კობის მზგავსად ორი შეგვიბეს—და ოთხ-ოთხი კაცი ერთად მოგვათავსეს. მასთან ცხენები იყო ზოგი უნალო და ზოგიც მოცვე-

თილის ნალებით (პირობის ძალით ზამთრის გზაზედ ცხენები ფოლადიანი დაპირულის ნალებით უნდა იყვეს) უნალობით ცხენებს ფეხები უსხლტებოდა და ხშირად გზაზედ ეცემოდნენ, შეშინებული ცხენები ხან ერთს მხარეს გადაიწევდნენ შუა გზიდან ნაპირისკენ და ხან მეორეს; ირჩევდენ თოვლიანს რბილს გზასა. ამ ვაი-ვუით ძლივს მოვაღწიეთ მლეთის სადგურთან, მაგრამ როგორც ისე ჩვენს თანამგზავრებს, მეორე ეტლით მოარულებს ათ ადგილას მეეტლით გაგვერთხა ყინულიანს გზის ლიანდაგზედ ცხენები და რამდენიმე ალაგას ფეხით სიარული მოგვიხდა. როდესაც გამოვკითხეთ მეეტლეებს, რატომ დაპირული ნალები არა აქვს ცხენებსაო, გვიპასუხეს: ერთი მჭედელი ანანურის სადგურში ჰყავთ მთელს 200 ვერსის გზაზე, რომელ ერთისთვის მოასწროს, ან სადა და როდის გამოგვიგზავნოს ნალებიო? მერე მოჭედით ვინღა მოსჭედამსო? მოჭედვაც „ემშიკებს" გვაქვს დავალებულიო!—თქვე საცოდავებო, თუ მჭედლობა შეგიძლიათ, მეეტლეთ რაღათ დგებითო?—უთხარით ჩვენ.

ასევე დღე დაგვაყენა მცხეთის სადგურის ცხენების მეთვალყურემ 25-ს იანვარს მცხეთაში, ცხენები და ეტლები დაგვიმალა, თუ 1 მანეთი და 68 კაპეიკი კიდევ დაუმატეთ „კოლესკას" მოგცემთ და ორს ცხენს შეგიბამთო.—ჩვენ ეგრეც 4 ცხენისა გადაგვიხდია, ქალაქამდე, ორი „პერეკლადნოი" უნდა მოგვცე და ახლა ორს ცხენს გვიბამ და ზედ მეტი 1 მ. 38 კაპეიკიც გადავიხადოთ?

— არ გადაიხდით და იყავით სანამ ცხენები დაბრუნდებაო. აქ-კი მოთმინების ფიალამ იფეთქა და საჩივრის წიგნი მოვითხოვეთ. მერე კი ამ ვაჟბატონმა სომხურათ დაუძახა „კანჩუმეო" და იკადრა უდავიდარაბოთ ორს ეტლში 4-ს ცხენის შებმა. ამითი დასრულდა ჩვენი ყაზბეგით თბილისამდენ მოგზაურობა და გასტანა სამ დღეღამეს.

კალმის-წვერა.

# დაბა-სოფლები

**ს. იფარი** (ზემო სვანეთი). 14 იანვარს, მღვდელ გ. პირველმა დაისწრო იმავე სოფლის სამისიონერო სკოლის მასწავლებელ-მოსწავლეები და გადიხადა სამადლობელი პარაკლისი წმ. ნინოს სახელზე. პარაკლისს დაესწრო აგრეთვე სხვა ხალხიც. პარაკლისის შემდგომ მ. გ. პირველმა გააცნო ხალხს წმიდა ნინოს ცხოვრება და მოღვაწეობა. შემდეგ მან აუხსნა ხალხს თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიან საქართველოსთვის სვანეთის მიუვალ მთებს და ამ მთებში მკვიდრთ. სვანეთიო, სთქვა მოძღვარმა, ითვლებოდა და ითვლება სავანეთ მთელ საქართველოსი. ქართულ ოჯახს ყოველთვის ჰქონდა ერთი საიდუმლო ოთახი, რომელშიდაც ინახავდენ ძვირფას განძეულობას და მამა პაპისგან დატოვებულ ნივთებს, და რომელსაც ვუწოდებდით „სალაროს" ანუ „სავანეს". აგრეთვე სავანე ჰქონდა საქართველოს სამეფოსაც და ეს სავანე იყო სვანეთი, რასაც თვით სახელიც ამტკიცებს სვანეთი ანუ სავანეთი.

როდესაც საქართველოს მტერი შემოესეოდა, მთელ ძვირფას ხატ-ჯვარს და განძეულობას ხიზნავდნენ ჩვენსკენ. და ჩვენც სვანები ყოველთვის პირნათლად ვასრულებდით ჩვენს მოვალეობას, ჩვენ ვინახავდით მოძმეთაგან მობარებულ განძს ღირსეულად. დღეს ბარელ მოძმეთა ცხოვრება შესცვალა ისტორიულმა მსვლელობამ, ხოლო ჩვენ, (სვანებს) დიდი მოვალეობა ისევ ისე გვაწევს.

ჩვენ მთებში შემოხიზნულია ძველთაგან განძეულობა, ხატ-ჯვარი, რომელსაც იცავდა ჩვენი მამა-პაპა და რომლის დაცვაც ანდერძათ გადმოგვცეს ჩვენ. ეხლა ჩვენ გვმართებს სიფრთხილე და პირნათლად შესრულება მამა-პაპათაგან გადმონაცემ ანდერძისა, გახსოვდესთ, რომ ჩვენ ისევ ის სავანეთი ვართ საქართველოსი, რაც ვიყავით და იცოდეთ არ მოაცხოთ ჩირქი ჩვენ მამა-პაპათა წმიდა ძვლებს.

დასასრულ პატივცემულმა მოძღვარმა ხალხს აუხსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მთელ ქართველთა ისტორიისათვის, ამ ხატ-ჯვარს. აქ შემოხიზნული განძეულობა, განაგრძო მოძღვარმა, ყოველივე ქართული ხელობაა და ყველას საკუთარი ისტორია აქვსო. ეგ ნიშანია ერთვნების ბრწყინვალე არსებობისა და თვით შემეცნებისა, და ყოველივე ეს მამა-პაპათაგან მობარებული [illegible]

ღვრის სიტყვას და კმაყოფილიც დაიშალა.

ამ სულიერმა მამას დიდი ღვაწლი მიუძღვის აქაურ სკოლისთვის სანამდინ თვით სკოლას ააგებდენ, თავისი საკუთარი სახლები დაუთმო უსასყიდლოთ სამი წლის ვადით, ხოლო სკოლის აგების შემდგომ რაც კი შეუძლიან, ნივთიერად ეხმარება დღემდის, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია იგი.

გ. გულბანი.

—

**ს. ზედა-ეწერი.** (ზუგდიდის მაზრა) 29 იანვარს ღამით აქ მოვაჭრე ი. გადილიას დუქანს მიადგნენ ჩვეულებრივი თანამედროვე „სტუმრები"—სამი შეიარაღებული კაცი.—გასტეხეს დუქნის ერთი პირი. მაგრამ იქ სახეირო ვერაფერი ჰპოვეს, მეორე პირში კი თვით მედუქნე, ევ. ფიფია, იწვა.—„სტუმრებმა" იცოდნენ, რომ ფიფია მათ კარს აღარ გაუღებდა და ამიტომ მიმართეს შემდეგ ხერხს: ორი მათგანი გამოსავალ კარების იქით-აქეთ მიიმალა, ხოლო მესამე მიუბრუნდა დუქნის უკან მყოფ საქათმეს, ერთი ქათამი დაიჭირა და აჭყივლა... ხერხმა გასჭრა: მედუქნემ იფიქრა მელა მოუვარდა ქათმებსაო, ადგა, დასჭყივლა და კარში გამოვიდა პერანგისამარა, მაგრამ, გადასდგა ფეხები კარს თუ არა, ის მაშინათვე გაქაჩეს... შეიჭრნენ დუქანში და, რაც რამე გააჩნდა მედუქნეს, ჩაალაგეს ტომრებში, ამოაცალეს ჯიბიდან და დახლიდან რაც ფულად ჰქონდა; წამოჰკიდეს თვითონ მედუქნეს თავისივე საქონელი და თოფის კონდახით და ხანჯლის წვერის ჩხვლეტით გაიგდეს წინ... მიიყვანეს დატვირთული მედუქნე მახლობელ ეკლესიამდი, მოჰხადეს ტვირთი დააფიცეს. არ გაემხილა ეს შემთხვევა. მერე უკან გაბრუნების ნება მისცეს, თვითონ კი „ნადავლით" გაუდგნენ გზას. გაძარცულმა ფიფიამ გასტეხა ფიცი. დაბრუნდა თავის ცარიელ დუქანში თუ არა, მორთო ყვირილი... შეგროვდა ხალხი, მოვიდა ადგილობრივი ადმინისტრაცია.

ფიფიამ, უკვე ფიც გატეხილმა, ერთი მძარცველთაგანიც დაასახელა, რომელიც უცვნია, თურმე.—პოლიციამ მიიღო ზომები და შეიპყრო იგი. იმედია დანარჩენებსაც აღმოაჩენენ.

კაი.

# მევენახეთა საყურადღებოდ

გვექნება შაბიამანი და გოგირდი თუ არა, აი ის კითხვა, რომელიც ყველას გვაფიქრებს, დანამდვილებით, საიმედო პასუხს ვერავინ იღებს. არ იცის კაცმა იქნება სამყოფი შაბიამანი და გოგირდი თუ არა?! არც ის ვიცით, თუ რა ეღირება. იმის მიზეზია დღევანდელი მსოფლიო შფოთი და საშინელება. ქუთაისის საგუბერნიო მევენახობისა და მეღვინეობის კომიტეტმა თავისი მხრით ყოველივე ზომები მიიღო. მხოლოდ უნდა მოვაგონო ჩვენებურ მევენახეებს შემდეგი: შემოდგომაზე რომ წვრილი კრედიტის დაწესებულებების ყრილობები იყო ზესტაფონს, ქუთაისსა, ოზურგეთსა და აბაშაში აქ ყრილობებზე მიღებულ იქნა შემდეგი: ვისაც შაბიამნისა და გოგირდის შეძენა ჰსურს, ახლობელ საკრედიტო დაწესებულებაში უნდა შეიტანონ ბე. თუ იქნება შაბიამანი და გოგირდი (რამდენიც იქნება) გარდაეცემა დაწესებულებებს, რომლებიც ხალხში გაანაწილებენ მევენახობის კომიტეტის ხელმძღვანელობით მაშასადამე, ბატონებო ნუ გვიანობთ შეიტანეთ ბეები საკრედიტო დაწესებულებებში ყველა წევრმა და არაწევრმა. როგორც დაახლოვებით ირკვევა შაბიამანი ფუთი ეღირება 15 მანეთზე მეტი. რასაც მეტს შეიტანთ ბეს ის სჯობია, რომ, როცა საჭირო იქნება და შაბიამანს მოგვაწვდიან, ფულით არ დავბრკოლდეთ. გირჩევთ ბე შეიტანოთ ფუთზე არა ნაკლებ ათი მანეთისა. გოგირდზე ჯერ არავითარი ცნობა არ არის გარკვეული. მხოლოდ გოგირდისთვისაც საჭიროა იმავე დაწესებულებებში ბეს შეტანა, ფუთზე ხუთი მანეთი მაინც,—ჩემის აზრით. საკრედიტო დაწესებულებებმა დაუყონებლივ შეკრებილი ფული უნდა წარმოუგზავნონ საგუბერნიო ბიუროს ქ. ქუთაისში. (თბილისის ქუჩა სახლი ალტიპარმაკისა).

ვთხოვთ ყველა გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ!

ქუთაისის გუბერნიის მევენახობისა და მეღვინობის უფროსი სპეციალისტი.

ძ. ბერეკაშვილი.

# პროვინციის ქრონიკა

**ქ უ თ ა ი ს ი.**

ოთხშაბათს 3 თებერვალს, ქუთაისის საოლქო სასამართლოდან საგუბერნიო ციხეში მიჰყავდათ ტუსაღი, რომელიც გზაში გაიქცა. მას დაედევნენ ჯარის კაცნი და დაიჭირეს.

— ქუთაისის ებრაელთა რაბინმა სლივულაშვილმა დააარსა ოთხ განყოფილებიანი სასწავლებელი (თალმუდთორა), სადაც ღარიბებს და ობლებს უფასოდ ასწავლიან.

— ქუთაისში 6 მარტს გაიმართება შიო მღვიმელის საიუბილეო დილა.

**ს. წ ე ს ა.**

აგერ ორი თვეა აქაურ სკოლაში სწავლა შეწყვეტილია, უმასწავლებლობის გამო, რამაც დიდი უსიამოვნობა გამოიწვია ბავშვების მშობლების შორის. ახლა როგორც იქმნა გადმოიყვანეს მასწავლებელი ქალი.

**ბ ა თ ო მ ი.**

ბათომის მომხმარებელთა საზოგადოებას უკვე 900 წევრამდე ჰყავს. საწევრო გადასახადია 2 მან. და საპაიოც 10 მან. სანოვაგე შედარებით ნაკლებ ფასებში იყიდება და ამან ადგილობრივ ვაჭრებს ხელი შეუშალა ფასების ხელოვნურად გაზრდაში. საზოგადოებამ სავაჭრო გააფართოვა და ახალ ბინაზე გადაიტანა. დღიური ვაჭრობა ჩვეულებრივ 700—800 მანეთამდე აღწევს.

**დ. ოჩამჩირე.**

აქ მომხმარებელი ამხანაგობა, ფურნის სახით, უკვე არსებობს და დახმარებას უწევს ხალხს. ეს ამხანაგობა მხოლოდ სამი თვეა, რაც არსებობს და უკვე კვალიც დაამჩნია.

**ეკის საზოგადოება** (სენაკ. მაზ.).

აქ გარდა ერთ კლასიან სამინისტრო სასწავლებლისა, რომელიც სწავლის მსურველთ ნახევარსაც ვერ იტევს, არ მოიპოვება არავითარი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება. ხალხი მეტად გულცივად ეკიდება ასეთ დაწესებულებას. მოწინავე პირებმა განიძრახეს დააარსონ მომხმარებელი საზოგადოება.

**ქვემო-მაჩხაანი** (სიღნაღის მაზ.).

ქვემო მაჩხაანის საბოქაულოს მცველი ნიკო კონაშვილი ზაქათალის ოლქიდან ბრუნდებოდა „ტვალჩანად" წოდებულ ადგილებში მას თავდაესხა ოთხი შეიარაღებული ბოროტმოქმედი. სროლამ ორთავე მხრიდან უნაყოფოდ ჩაიარა. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

**ს. ტყვიავი.**

სოფელში გავრცელებულია ბავშვთა ავადმყოფობა. ხალხი უპატრონოდ არის მიტოვებული. საწინააღმდეგო ზომებს არავინ იღებს.

**ქ. გ ა ნ ჯ ა.**

27 იანვარს ქ. განჯაში დანით დაჭრით მოიკლა სახალხო სკოლების დირექტორმა ს. პ. პეტრუნინმა. მიზეზად რაღაც ფულის ანგარიშებს ასახელებენ.

# მაჰმადიანთა ცხოვრება

„ნიჯათის" საზოგადოების საღამოს კურსების შენობაში, პარასკევს 5 თებერვალს გაიმართა სახალხო კითხვა ბუნდოვან სურათებით. კითხვა მოაწყო კოოპერატიულ საზოგადოებამ „შეთანხმებამ." ლექცია წაიკითხა ახალგაზრდა ლექტორმა ჰუსეინ მირზა ჯამალოვმა, შემდეგ თემაზე: „რა არის მომხმარე საზოგადოება ან რამდენი სარგებლობა მოაქვს". ლექტორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს.

— ირკუტსკის გუბერნიაში დაატუსაღეს 18 მაჰმადიანი, მათ შორის ცნობილი მოღვაწე, ქალაქის ხმოსანი შეფი ულლეისი და რამდენიმე მსხვილი ვაჭარი. მიზეზი გამორკვეული არ არის.

# მუშათა შორის

**ქ უ თ ა ი ს ი.**

ქუთაისში ამ რამდენიმე დღის წინად, ძმ. ფირალოვების ქარხანაში მომუშავე ქალებმა უფროსებს წარუდგინეს რამოდენიმე მუხლიდან შემდგარი ეკონომიური მოთხოვნილებანი. მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის გამო, მუშა ქალები გაიფიცნენ.

**ბ ა თ ო მ ი.**

ამ ბოლო დროს სვანეთიდან და სხვა ადგილებიდან მრავალი მუშა—ყაყრის მხდელნი ჩამოიყვანეს და გაგზავნეს მურღულისაკენ სამხედრო [illegible] ლად. როგორც სამუშაოდან ჩამოსულები გადმოქვეცემენ, თურმე აქ დიდ ტანჯვას განიცდიან თბილი ბინების უქონლობის გამო.

**თბილისის დეპოს მუშები.**

აღნიშნულ დეპოს მუშები მცირედის გამოკლებით, მეტად ჩამორჩენილი არიან. ეს არც გასაკვირია, რადგანაც იშვიათათ კითხულობენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. ხელოსნები კიდევ ცდილობენ დღევანდელ დუხჭირ ცხოვრებას არ ჩამორჩნენ, მუშები კი რომელთა მეტი ნაწილი ქართველებია, ცდილობენ ჩამოაგდონ ურთი-ერთ შორის უთანხმოება.

# თეატრი და ხელოვნება

კვირას, 7 თებერვალს, სახალხო სახლში გაიმართა ქართული კონცერტი ბ-ნ მაისურაძის ლოტბარობით. სამწუხაროდ, კონცერტს თავიდან ვერ დავესწარი, მაგრამ რაც მოვისმინე, ისიც საკმაოა ვსთქვათ, რომ, მაინცა-და-მაინც არც პირველი ნაწილი უნდა ყოფილიყო სახარბიელო.

პირველად მოვისმინე „მშვენიერო", ეს სიმღერა მოითხოვს რაც შეიძლება მეტ თანხმობას, შეწყობილ ხმებს, რომ „მშვენიერომ" მშვენიერება არ დაჰკარგოს. შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს მღეროდნენ ექსპრომტად, მოუმზადებლივ.

საზოგადოდ რაც ითქვა „მშვენიერო"-ზე, შეგვიძლიან გავიმეოროთ ქართლულ სიმღერებზეც. „თოხნური", მაგალითად, შესრულებული იყო ნახევრად, იგი არც ქართლული იყო და არც ოსური. „ფერხული"-ც ასევე მოიკოჭლებდა...

თუ ეს ითქვა უბრალო სიმღერებზე, სადაც მომღერალნი თავის თავს მეტს თავისუფლებას აძლევენ, არ შეგვიძლიან ვაპატიოთ ისეთ ნაწარმოების შესრულებაზე, რასაც ინდივიდუალობის ბეჭედი აზის. მე მოგახსენებთ სულხანიშვილის არიაზე „დაიგვიანეს" (ოპერა „პატარა კახიდან"). ეს არიაც ზეპირად შეასრულეს, (ალბად უნოტოთ). აღმსრულებელი ბ-ნი მაისურაძე თვის არა-სასიმოვნო ხმით (არც ბარიტონია, არც ტენორი) მსმენელს გულებას უფუჭებდა, თითქოს ერთგვარ ესტეთიურ შეურაცხყოფას აყენებდა, რომ ზერელედ, ასე უსწოროდ ასრულებდა. მეეჭვება, თვით კომპოზიტორს მაინც შესძლებოდა მისი გამოცნობა...

იმღერეს „ცანგალა" და რამოდენიმე სხვა სიმღერა. არც ერთით არ დავკმაყოფილდით. საზოგადოება უკმაყოფილოდ დაიშალა ნაშუადღევის $3^{1}/_{2}$ საათზე.

კარგი იქნებოდა, ბ-ნი მაისურაძე სხვა დროს მაინც კარგა მოემზადებოდეს და საზოგადოების ნდობას ოდნავ მაინც გაამართლებდეს. როგორც სჩანს, მასალის შესახებ გაცილებით ნაკლები უზრუნვია და მთელი თავისი ძალღონე აფიშების კოხტად-დაბეჭდვაზე მოუნდომებია. რეკლამამ გაუმართლა იმედი. ხალხი ბლომად დაესწრო, მაგრამ ხალხს კი იმედი არ გაუმართლდა: უსიამოვნოდ დაიშალა.

გ. სვანიძე.

—

**ქუთაისი**

სამშაბათს 2 თებერვალს ადგილობრივ თეატრში გაიმართა მარო მდივანის საბენეფისოდ წარმოდგენა. წარმოდგენას მრავალი ხალხი დაესწრო. მობენეფისეს მრავალი საჩუქარი მიართვეს. შემდეგი ბენეფისი 11 თებერვალს გაიმართება ახალგაზრდა მსახიობთა სასარგებლოდ.

**თბილისი**

ოთხშაბათს, 10 თებერვალს სახალხო სახლში სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოადგენილ იქნება „ყაჩაღები", ტრაგედია შილლერისა.

კვირას 7 თებერვალს ნაძალადევის თეატრში წარმოადგინეს „ქრისტინე" ე. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული ვ. ირეთელის მიერ. ხალხი ბევრი დაესწრო.

**დ. ხაშური**

შაბათს, 30 იანვარს, ხაშურის დრამატიულმა წრემ ა. კორძაიას რეჟისორობით დასდგა ვ. ირეთელის მიერ გადმოკეთებული 4 მოქმ. დრამა „სოფლის გმირები". წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა და საზოგადოებაზეც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

„საქართველოს" მე-28 №-ში დაბეჭდილი იყო ცნობა, ვითომც მე შემედგინოს ა. აივაზოვის ანდერძი. ეს ამბავი სრულიად მოკლებულია სიმართლეს. ხსენებული ანდერძი არასდროს არ შემიდგენია და მისი შინაარსი არ ვიცოდი.

ა. აივაზოვს კერძო საქმე ჰქონდა იმ ბანკში, რომელშიაც ვმსახურებ, და ერთხელ მთხოვა ხელი მომეწერა, როგორც მოწამეს, იმის ანდერძზე, **უკვე შედგენილზე და გადაწერილზე ნოტარიუსთან.**

გ. თუმანოვი.

# რუსეთი

**ხორცის კრიზისი.**

სად. გლუბოკაიას რაიონში ვაჭრებმა მოსკოვს გასაგზავნათ ღორების დიდი პარტია იყიდეს. ისინი ცდილობენ კიდევ მეორე პარტიაც შეიძინონათ, მაგრამ მოულოდნელად მათ ყიდვა აუკრძალეს, რადგანაც ადგილობრივათაც ხორცის კრიზისი ყოფილა.

**სანოვაგის გაძვირება.**

სასურსათო თათბირმა მთელ იმპერიაში ცნობები შეიკრიბა ცხოვრების გაძვირების შესახებ. გამოირკვა რომ 1913 წლის დეკემბერთან შედარებით 1915 წელს დეკემბერში ხორბალი 62 პროც. გაძვირებულა, ბურღული—123 პროც., ხორცი—37 პროც. კარაქი—95 პროც., მარილი—142 პროც., თავი შაქარი—56 პროც., დაფხვნილი შაქარი—45 პროც. საერთოთ ცხოვრება 60—70 პროცენტით გაძვირებულა.

# ნარევი

**42 სანტიმეტრიან ზარბაზნის წინამორბედი.**

გერმანელთა საოცარ 42 სანტ. ზარბაზანს ტყუილად კი არ სთვლიან გერმანელები თავიანთ სიამაყედ, გამარჯვების მთავარ ბერკეტად. მაგრამ ამ განსაცვიფრებელ ზარბაზანს ჰყოლია წინამორბედი ჯერ კიდევ 1453 წელს. როგორც ვიცით, ამ წელის გაზაფხულს სტამბოლს ოსმალები შემოერტყნენ. იგი ბიზანტიის სანუკვარი ქალაქი იყო და ამიტომაც ბერძნები არას ჰზოგავდნენ მის დასაცველად. მაშინ ოსმალებმა მოზიდეს 14 ზარბაზანი, ხოლო ბოსფორში 350 გემი მიაყენეს. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ალყა შემორტყმული ქალაქი არტილერიის საშუალებით აიღეს. საზღაპრო ზარბაზანი გამოუგონია ვინმე ორბაუს. იგი სამშობლოში ვერ დააფასეს (ამბობენ, ჩეხი იყოო), მაშინ გაანება თავი თავისიანებს და ოსმალებს მისთავაზა თავისი გამოგონილი გეგმა ზარბაზნისა. სულთანმა შეიწყნარა მისი წინადადება, დაასაჩუქრა და თვითვე დააყენა მეთვალყურედ ზარბაზნის ჩამოსასხმელად, რასაც სამი თვე მოუნდენ. ზარბაზნის ტუჩი 9 ფუტს უდრიდა და ვერს ნახევარზე ისროდა 1,200 გირვანქიან ქვას. როგორც არნოლდი ფრანკი იუწყება ამ ზარბაზნიდან გასროლილი ქვა დიდს ვნებასა და ხმაურობას აყენებდა. იგი ჩამოასხეს ანდრიანოპოლში, 50 უღელი ხარი სწევდა, ორასი ჯარისკაცი იკავებდა ... რომ არ წაქცეულიყო, 200 გლეხი გზასა სწმენდდა, 50 ხელოსანი და დურგალი ხიდებს აკეთებდნენ, მას იცავდ ათი ათასი ცხენოსანი, რა არის მტერმა არ წაგვართვასო. ირწმუნებიან ამ ზარბაზანმა დიდად შეუწყო ხელი მაჰმედ II-ს სტამბოლის აღებაში.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 სალ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 სალ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 სალ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 სალ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სჭარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლული-ამიერ კავ. | 9 „ | 23 „ | „ |
| ნავთლული-კახეთისა. | 9 „ | 43 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 42 „ | „ |
| იორიდან | 11 „ | 35 „ | „ |
| საგარეჯოდან | 12 „ | 17 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ | 15 | დღის |
| მელაანიდან | 2 „ | 37 „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ | 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 58 „ | „ |
| თელავში მიდის | 5 „ | 35 „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ | 18 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 „ | „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ | 45 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ | 46 „ | „ |
| მელაანიდან | 12 „ | 02 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ | 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ | 15 „ | „ |
| იორიდან | 2 „ | 53 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 40 „ | „ |
| ნავთლულ-კახეთ. | 4 „ | 31 „ | „ |
| ნავთლულ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 „ | 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 46 „ | „ |
| გურჯაანში მიდის | 10 „ | 16 „ | „ |

**ჯეჯილი**

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
ოცდა მეშვიდე წელიწადი

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის

ჟურნალი „ჯეჯილი"

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა 26 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили"

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").
ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე შევიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგვინეთუხუცესი ... ძმ. მეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები [illegible]